გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



www.ilori.ge

№ 75 (136) 13 ივლისი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

## ჩვენ – სამშობლო-წართმეულები!

10 დავით მარიამიძე, ვაალსი, ჰოლანდია




2

## კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"




ზბიგნევ ბონეკი

ჯანპიერო ბონიპერტი

იოჟეფ ბოჟიკი

12



## მეგრული პოეზიის რაფსოდია

პოეტი ლაშა გახარია

5

## ქირო, საიდან მოდიხარ?..

6 როლანდ ჯალაღანია

## ჰილარი კლინტონი ჩამოფრინდა და გაფრინდა, ჩვენ კი ბურდლა დაგვიტოვა...

მაშ ასე, ცხოვრებისაგან არაერთგზის დამტკიცებულია, რომ ქათამი გვაძლევს კვერცხს, ხორცს და ბუნდღას, მამალი კი...

როცა დედალი კლინტონი საქართველოში ნაციონალების გულის გასამაგრებლად ჩამოვიდა, შეიძლება მამალი კლინტონი კიდეც ჩინჩლავდა სადღაც მონიკა ლევინსკისთანა ვარიას, მაგრამ ჰილარის, რომელმაც თავის დროზე ამლაყ მეუღლეს საკმაოდ აუხურა გვერდები ლევინსკასთან ადიულტერისათვის, ახლა სულ სხვა ამოცანა ჰქონდა – უნდა დაემშვიდებინა რუსეთისაგან სილაგატკაცუნებული **"ნაციონალები"** და მათი ბელადი სააკიანი!

როგორც იტყვიან, სპექტაკლი შედგა, თუმცა, საკმაოდ უნიჭოდ და წრესგადასული აღფრთოვანებით, რასაც, როგორც წესი, სისულელის სფეროში გადავყავართ ხოლმე!

ნამდვილად, საქმეში ჩახედული ადამიანებისათვის კი ეს გახლდათ გულისამრევი სპექტაკლი!

ჯერ კიდევ მაშინ წაგვჭამეს თავი ნაციონალებმა ბაქი-ბუქით, როცა მედვედევი **აშშ**-ში ჩავიდა და ობამას შეხვდა (რასაც სააკაშვილი ვერ ეღირსა იმ ორი კვირის განმავლობაში, რაც ის ობამას მისაღების კართან იყო ატუზული). აქაოდა, ავშენდით, ობამამ მედვედევს სულ **"ოკუპანტი"** უძახაო.

რაც რუსებს და ამერიკელებს ერთმანეთი ულანძღიათ, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა იცოდნენ, რომ ერთად უნდა ეომათ ჰიტლერის წინააღმდეგ, იმდენ ლანძღვა-გინებას ვერსად გაიგონებს ადამიანი, მაგრამ ეს ორი სახელმწიფო მაინც ყოველთვის ერთმანეთის თანამოსანგრედ რჩებოდა. მართლაც სულელი უნდა იყო ადამიანი, რომ ირწმუნო: როდისმე ამერიკასა და რუსეთს შორის სერიოზული ბზარი გაჩნდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამო. მით უმეტეს, როცა ობამამ საჯაროდ დაადასტურა, რომ რუსეთსა და **აშშ**-ს შორის წარმოქმნილი აზრთა სხვაობა ჩვენი ურთიერთობების განვითარებას სულაც არ შეუშლის ხელსო! მე პოლიტიკოსი არ ვარ და ამ ფრაზას პოლიტიკურ შეფასებას ვერ მივცემ, მაგრამ ჟურნალისტები ასეთ შემთხვევაში იტყვიან: **ობამამ საქართველო დაიკიდაო!**

გარდა ამისა, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-სამაჩაბლოს ურთიერთობებში ჩარევა მიუღებელია და ქართველებმა თავად უნდა მოძებნონ გზა იმ აფხაზთა და ოსთა გულებისაკენ, რომლებიც საქართველოს ავანტურისტული ხელისუფლების მიერ წამოწყებული უაზრო ომის შედეგად დაზარალდა. რაც შეეხება რუსებს, ისინი ამ საქმეში მხოლოდ გარანტორებად თუ გამოვლენო.

ამაზე სადად და გასაგებად, კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხის გარშემო აზრის გამოთქმა, ალბათ, წარმოუდგენელია!

საქართველოს ხელისუფლების რეაქციას რომ ვუყურებთ, ვრწმუნდებით, რომ ჰილარი კლინტონთან ერთად გაფრინდა აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან არსებული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარების იმედიც!

## წლები, რომელიც გვახსენებს სოხუმს...

7 სვეტლანა კვიკვინია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

*გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.*

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე-ჩაჩბა



გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე-ჩაჩბა აშილ მიურატის დასაფლავებაზე

პოლიტიკური და სოციალური პრობლემებით აღსავსე რუსეთის იმპერიის არსებობას 1917 წლის 2/15 მარტში იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი...

შვილის ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილებით გაოგნებულმა დედოფალმა მარიამ თევდორეს ასულმა, მეორე დღესვე მთავარსარდლის შტაბს მიაშურა. მას ამ მგზავრობისას თან ახლდა გიორგი შარვაშიძეც.

ნიკოლოზ II-ის ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი ანატოლი ალექსანდრეს ძე მორდვინოვი იგონებს: **"С государыней прибыли только великий князь Александр Михаилович, живший также в Киеве и ее свита – графиня Менгден, князь Шервашидзе и князь Сергей Долгорукий.**

**Князя Шервашидзе я знал долгие годй, еще с первого дня вступления его в должность состоявщего при императрице...**

**... Князь Шервашидзе был большой оригинал, очень начитанный, наблюдательный..."**

გიორგი შარვაშიძემ გვერდით გაიხმო მორდვინოვი და ჩუმად უთხრა, რომ იმპერატორის ეს გადაწყვეტილება ცუდად შემოუბრუნდებოდა რუსეთს. იმპერიაში დატრიალებულმა შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო მორდვინოვთან გამოთქმული სკეფსისის საფუძვლიანობა.

ამ შემთხვევაშიც ის არაორდინარული აღმოჩნდა. მაშინ, როცა საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა სიხარულით შეეგება იმპერატორის გადადგომის ცნობას, გიორგიმ უმალ განსჭვრიტა ამ სარისკო და გაუთვლელი ნაბიჯის სამომავლო შედეგები.

მოგილიოვიდან დაბრუნებულ დედოფალს რადიკალურად სახეშეცვლილი დახვდა კიევი. ის ახალი, რევოლუციური ხელისუფლებისათვის უკვე მიუღებელი პერსონა აღმოჩნდა. დროებითი მთავრობისაგან მარიამ თევდორეს ასულსა და მის ქალიშვილებს ოჯახებთან ერთად, ყირიმში, სიძის მამულში – აი-ტოდორში ებრძანა გადასვლა. როგორც ეტყობა, ამ პერიოდში გიორგი შარვაშიძე დროებით დაეთხოვა მას და პეტერბურგში გაემგზავრა.

ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა გიორგი შარვაშიძის ცხოვრების ამ პერიოდის ერთი ეპიზოდი. პროფესორი ოთარ ჭურღულია, ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანის მიერ 1970 წელს მონათხრობზე დაყრდნობით წერს: "ქალბატონმა თამარმა გვიამბო, რომ შალვა ნუცუბიძისგან მოუსმენია შემდეგი: **"როდესაც 1917 წელს უკვე საბოლოოდ მომწიფდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა, მე მიმავლინეს პეტერბურგში, სადაც მოსაგვარებელი მქონდა მთელი რიგი საკითხებისა, მათ შორის საქართველოში რკინიგზით უნდა გამომეგზავნა ივანე ჯავახიშვილის და იოსებ ყიფშიძის უმდიდრესი ბიბლიოთეკები, რომლებიც ამ კეთილშობილმა მოღვაწეებმა უსასყიდლოდ გადასცეს ჯერ კიდევ არარსებულ თბილისის უნივერსიტეტს. პეტერბურგში დიდი არეულობა იყო, ერთნი ზეიმობდნენ ახალი სამშობლოს დაბადებას, ხოლო მეორენი გარბოდნენ მისგან. ამ მღელვარე ქალაქში ვნახე გუბერნატორად მყოფი გ. შარვაშიძე, ახოვანი, ლამაზი და მოსული ჭაღარა კაცი. მისალმების შემდეგ მას გავაცანი ჩემი პეტერბურგში ყოფნის მიზანი. მასზე დიდი ზემოქმედება იქონია ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი, გულიც კი აუჩუყდა. შემდეგ ჩვენდა მოულოდნელად შემოგვთავაზა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა: "ჩემგან უსასყიდლოდ ჰქონდეს თბილისის უნივერსიტეტს"-ო. ჩვენც, რასაკვირველია, მივიღეთ ეს დიდებული და უაღრესად საჭირო საჩუქარი. სამივე წიგნსაცავი რკინიგზით გამოვაგზავნე საქართველოში. სამწუხაროდ, მოხდა ის, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იმ არეულ დროს, ის ვაგონი, რომელშიც ი. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძისა და გ. შარვაშიძის წიგნები იყო, გზაში დაიკარგა, დაიწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი".**

**"ეს ფაქტი ბევრის მეტყველია. –** წერს ბატონი ოთარი – **იგი წარმოადგენს ერთგვარ ლოგიკურ დაგვირგვინებას ყველა იმ სამოქმედო საქმისა, რაც გ. შარვაშიძეს თავის სამშობლოში – აფხაზეთსა და საქართველოში გაუკეთებია. სამწუხარო ის არის, რომ ამ მოამაგის არქივი და ბიბლიოთეკა ისევე დაიღუპა, როგორც მისი სახელოვანი ბიძაშვილის – პოეტ გ. შარვაშიძისა. ჟამთა სიავემ იმსხვერპლა ეროვნული განძი და მასთან ერთად ბევრი საინტერესო ცნობაც".**

ამ ამბავს ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით, ემიგრაციიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილიც ადასტურებს. **"...ალექსანდრე ხახანაშვილის ბიბლიოთეკა ლაზარევის ინსტიტუტს დარჩა. თბილისის ყოფილმა გუბერნატორმა გიორგი შარვაშიძემ თავისი შესანიშნავი ბიბლიოთეკა საქართველოს მუზეუმს უანდერძა, მაგრამ ის გატჩინოში დარჩა მისი გარდაცვალების შემდეგ"...**

სტავროპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიტის გაცნობისას გაირკვა, რომ გიორგი შარვაშიძის ბიბლიოთეკა გადარჩენილა და ის ამჟამად ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტთა ფონდშია დაცული. აქ ის, 1937 წელს გაუქმებული, **"მთიელი ხალხის კულტურისა და ისტორიის"** ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდთან ერთად მოხვედრილა. ვინ უწყის, მათი შესწავლისას რამდენი საიდუმლო გამჟღავნდება.

როგორც ეტყობა, გიორგი შარვაშიძეს კარგა ხანს მოუწია რევოლუციური ეიფორიით აფორიაქებულ პეტერბურგში ყოფნა. მარიამ თევდორეს ასულს 1917 წლის 23 სექტემბერს დღიურში ასეთი ნიშანდობლივი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: **"ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძვირფასი შარვაშიძე ოქტომბრის დასაწყისში აქ იქნება".**




საინტერესოა შინა პატიმრობაში მყოფი დედოფლისა და გიორგის პირველი შეხვედრის აღწერაც: **"14 ოქტომბერი. მთელი დღე მოუთმენლად ველოდით თავად გიორგი შარვაშიძის ჩამოსვლას. დიდი სიხარულით შევხვდით მას, რომელიც საღამოს 10 საათზე ჩამოვიდა. 15 ოქტომბერს ერთად ვისაუზმეთ, შემდეგ კი, სამწუხაროდ, გაცივდა და მისი ნახვის საშუალება აღარ მომეცა..."**

მარიამ თევდორეს ასულს კატეგორიულად ჰქონდა აკრძალული აი-ტოდორის სასახლის დატოვება.

**"ყველა გზა ჩაკეტილი მაქვს, საშინლად მოწყენილი ვარ... ყველგან გაგზავნილი ბარათი უკან მიბრუნდება. ეს სრული იზოლაციაა..."**

ამ დღიურის გაცნობის შემდეგ ნათლად წარმოჩინდა გიორგისა და გვირგვინოსანი ქალბატონის ახლო სულიერი მეგობრობა. 70 წელს მიტანებული, ჯანგატეხილი გიორგი შარვაშიძისაგან მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო, სამოქალაქო ომით მოცულ ყირიმში ჩასვლა და მარიამ თევდორეს ასულთან ერთად შინაპატიმრობის გაზიარება. იმ კრიტიკულ წლებში, როცა არაერთი პიროვნება ცდილობდა დაემალა სამეფო ოჯახთან სიახლოვე, მხცოვანი რაინდი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მან ყოყმანის გარეშე გაიზიარა მეგობრის ხვედრი...

შემორჩენილია გიორგის მიერ ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვისადმი იმ პერიოდში გაგზავნილი წერილი, რომელშიაც პატიმრობაში მყოფთა მძიმე მდგომარეობის აღწერის პარალელურად იგი გამორჩევით გამოყოფს დედა-დედოფლის სულიერ სიმტკიცეს.

**"...იგი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ისე სწრაფად დადის აღმართებზე, რომ ძლივს ვეწევი. შესაშური ღირსებით უჭირავს თავი. საოცრად მშვიდია... როგორც იცით, ჩვენ მთლიანად იზოლირებული ვართ გარე სამყაროსაგან და ვერავის ვიწვევთ სტუმრად. ტელეფონის ხაზიც გადაჭრილია. ამდენად, არამც თუ მთელ ქვეყანაში, არამედ თვით ყირიმშიც კი არ ვიცით, თუ რა ხდება. ყველაფერი ეს სამწუხაროა, რადგან მოულოდნელი გარდაქმნების ეპოქაში ვცხოვრობთ და მოვლენებისაგან ჩამორჩენა არაფერი კარგის მომტანი არ არის..."**

ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაპატიმრებულ სამეფო ოჯახის წევრთა ხვედრი კიდევ უფრო დამძიმდა.

იალტელმა ბოლშევიკებმა სასწრაფოდ მოითხოვეს მეფის ოჯახის წევრთა ფიზიკური განადგურება, მაგრამ დაცვის უფროსმა, დედოფლის სიძის ალექსანდრე მიხეილის ძის ყოფილმა ხელქვეითმა ოფიცერმა ზადოროჟნიმ პატიმრები აი-ტოდორიდან შედარებით დაცულ დიულბერის სასახლეში გადაიყვანა, რითაც მოახერხა რამდენიმე თვითნებური ღამეული თავდასხმის მოგერიება და ყირიმში გერმანელების შემოსვლამდე ასე იხსნა ისინი...

სამწუხაროდ, დედოფლის დღიურის ის მონაკვეთი, რომელიც 1917 წლის 24 ნოემბრიდან 1918 წლის 5 ივნისს მოიცავდა, დაკარგულია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა გრაფინია ეკატერინა კლეინმიხეილის მოგონება, სადაც აღნიშნულია, რომ **"...მარტში მოულოდნელად გარდაიცვალა თავადი გიორგი შარვაშიძე, რომელიც წლების განმავლობაში გახლდათ მისი უმაღლესობის სასახლის მინისტრი. იმპერატრიცა მარიამ თევდორეს ასული საშინლად იყო დამწუხრებული, რადგან მან დაჰკარგა არა მხოლოდ ერთგული მსახური, არამედ დიდი ხნის მეგობარიც. მოგვიანებით, იმ ოთახში, სადაც გარდაიცვალა თავადი, სალოცავი კუთხე მოაწყვეს, სადაც ბევრი ადამიანი პოულობდა სულიერ სიმშვიდეს..."**

კვლავ მივუბრუნდეთ დედოფლის დღიურს: **"...26 სექტემბერი (1918 წელი), ოთხშაბათი". უკვე ექვსი თვეა რაც გარდაიცვალა ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი თავადი შარვაშიძე! საშინლად გვაწუხებს მისი დაკარგვით გამოწვეული სევდა. ჩამომივიდა ჩემი შვილისა (ნიკოლოზ II) და მისი ოჯახის წევრების მხეცურად დახვრეტის ამბავი. მათი სულების მოსახსენებელი ლოცვა ჩავატარეთ აი-ტოდორის ეკლესიაში, შემდეგ კი მდინარე მისხორის სანაპიროზე გადავიხადეთ თავად გიორგი შარვაშიძის სულის მოსახსენებელი პარაკლისი..."**

ასე დასრულდა ამ შესანიშნავი აფხაზი მოღვაწის გამორჩეული პიროვნების – გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მღელვარე ცხოვრება.

მის სახელს დავიწყება არ უწერია. 1998 წლის 27 მარტს თბილისში აღინიშნა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის დაბადებიდან 150 და აღსრულებიდან 80 წლისთავი. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ლეონიდე შარვაშიძემ, შოთა მისაბიშვილმა, თეიმურაზ მიბჩუანმა, ოთარ ჭურღულიამ, თენგიზ შარვაშიძემ, გიორგი როგავამ და სხვებმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

*გვესაუბრება კოლხეთის მიწა – წყალი*

# თარგამოსიანნი და თარგამული

მან არ იცის, რომ **"მეფე აფხაზთა და ქართველთა"**, არის იგივე **"მეფე კოლხთა და ქართველთა", "მეფე ლაზთა და ქართველთა"** (საქართველოს მეფეთა ტიტულატურაზე მოგახსენებთ). დღეს ვიღაცეები წამოგვჯდომიან და უკვე საქართველოდანაც ცდილობენ ჩვენს განდევნას და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ერთმანეთი დაგვაჭამინონ.

ახლა კი ისევ კონკრეტულ საკითხებს მივუბრუნდეთ.

სოფლის სახელი თამაკონი ასეთი ფორმითაც გადმოიცემა, როგორც ზემოთ ვნახეთ – თამოკო (თამაკონი), რომელშიც შემოდის როგორც სოფელი თარგამეული (თარგამული), ასევე ქედი თარგამული (იგივე თარგამეულის ქედი), მაგრამ სამურზაყანოელი შემოხიზნული გლეხისა და დადიანის შელაპარაკება ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია და ჩვენ ვეცდებით რეალობა წარმოვადგინოთ. **"თამოკო"** ორწევრიანი კომპოზიტია: თარ-მოკო. ჩემის აზრით, პირველი წევრი აქაც იგივეა, რაც თარგამულში – მთავარი, რჩეული. **"მოკო"** პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს **"მსურს", "მინდა",** ე.ი. ხალხის სურვილს, სოფლის სურვილს გამოხატავს – **"მსურს რჩეული (მთავარი) ვიყო"**. შეიძლება ასედაც შევხედოთ ამ ტოპონიმს: არსებობს თქმა, იდიომი **"მოკო-მოკო რაგადი", "მოკო-მოკო გილულა", მოკო-მოკო ქიმინუა"**, რაც პირველ შემთხვევაში უმეცრულ თქმას, ლაპარაკს ნიშნავს, მეორე შემთხვევაში უსარგებლო სიარულს, ცხოვრებას, მესამე შემთხვევაში უსაქმურ საქმიანობას. თუ ამ იდიომს გავითვალისწინებთ, მაშინ სოფლის სახელი გვანიშნებს, რომ მთავარი უნდა ვიყო და არა რიგითი, ჩვენ რჩეულები უნდა ვიყოთ. სიტყვა-სიტყვით ეს ასე არ ითქმის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სოფლის სახელში ეს იგრძნობა, მის წინ ხომ რჩეული მიწაა, ქედია, რომელშიც ციხე-გოჯის გვერდით, უძველესი ქალაქის გვერდით, მეფეთა გვერდითაა.

ასევეა ერთმანეთთან კავშირში თარგამულისა და თამოკოს უშუალო მეზობელი სოფლები **ჟინოთა** და **შქანთა**. ჟინოთა მდინარე წაჩხურას პირასაა (**ჭაჩხვია** ითქმოდა ადრე) და ეს უბრალო მდინარედ არ ითვლებოდა, მდინარე ღვთაებად ითვლებოდა, **მოსქე წაჩხურად**, შვილიანობის მომნიჭებელ ღვთაებად, რომელიც ჯერ წარმართული იყო, ახლა ქრისტიანულია, აქვს სალოცავი. მის სალოცავზე, ეკლესიის გარშემო ანტიკურ ნაგებობათა ნანგრევებია, როგორც დაადგინეს ნ. ლომოურმა, პ. ზაქარაიამ და ვ. ლექვინაძემ. წაჩხურა სოფელ ჟინოთასთან უერთდება ტეხურს, ტეხური კი ბოლომდე ერთგულ გუშაგად უდგას თარგამულს ნოქალაქევამდე მდინარე აბაშასთან ერთად. **ჟინოთა**, გივი ელიავას აზრით, **ჟინი ანთარს**, წარმართულ ღვთაებას ნიშნავს და კეთილ წარმართულ ღმერთად გვევლინება მთელი კოლხეთისათვის. მისი სახელი უაღრესად საგულისხმოა და ზეითა რჩეულ ღმერთზე მიგვანიშნებს. ს. ჟინოთაზე ზევით ჟინოთასა და თარგამულ – დიდ თამოკოს შორის **ჭიჭე თამოკოა**, პატარა თამოკო რომელსაც შქანთას ეძახიან. ესეც კომპოზიტია: შქა-(ან)თა(რი) (ეს ჩვენი თვალსაზრისი გახლავთ) და ნიშნავს შუა ანთარს, კეთილ ღვთაებას. ამას კი პირდაპირ მოსდევს თარგამულის ქედი.

დადგა დრო, ავხსნათ **"თარგამული"** კომპოზიტის, ტოპონიმის მესამე წევრი – თარგა-მული. ვფიქრობთ, მესამე წევრი დღეისათვის, დღევანდელი მეგრულისთვის ნიშნავს **"მულირი"** სიტყვას და მთლიანობაში თარგამული აიხსნება, როგორც საღვთო, ღმერთებისგან დალოცვლილი რჩეული ქედი, მათ მიერ აქ მოყვანილი. თუ გავითვალისწინებთ ჯერ **"მოსქე წაჩხურას"** – ვაჟიშვილთა, ძეთა მომნიჭებელ ღვთაებას, რჩეულ მთავარ ჟინი ანთარს, ზეითა ღვთაებას, ს. გურძემში, ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე წარმართულ ღვთაება ქიაჩს, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ღვთაებად გვესახება (სხვათაშორის ს. გურძემის ამ უბანს ჰქვია ნაქიაჩი. იგი ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომი სახელია). სოფ. გურძემს ლეჯგერნაიედაც მოიხსენიებენ. ეს გვარიც ქიაჩთან უნდა იყოს დაკავშირებული ასეთი ფორმით: **ჯგეგე ქიაჩი, ჯეგე ქიაჩი** – წმინდა ქიაჩი. უეჭველია კოლხეთის უძველეს და უდიდეს ქალაქს, ციხესიმაგრეს არაერთი მფარველი ღვთაება ეყოლებოდა. აქვე რამდენიმე კილომეტრზეა ალერტის წარმართული ღვთაება, წარმართული ჯეგე-ვერდის ღმერთი და მისი სალოცავი ადგილი ნახატურა (ს. ნოღა) და სხვა ჯერჯერობით საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი წარმართული ღვთაებები.

თარგამული წყალგამყოფი ქედია, რომლისთვისაც როგორც ცნობილია, სიმაღლეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აღმართულია თავისი განშტოებებით შქანთადან სოფელ კვაუთამდე მდ. აბაშასა და ტეხურს შორის, შემდეგ ჩამოივაკებს ციხე გოჯთან და მკვეთრად უხვევს დასავლეთით შხეფის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც ეკის მთას ეძახიან. **"ეკი"** ტოპონიმი ითარგმნება და ნიშნავს **"ზევით", "ზევითკენ"** სიტყვას.

**"თარგამი"** ლექსიკური, ერთეული, ეთნარქ თარგამოსის ძირი სიტყვა, ჭეშმარიტია. თარგამი კომპოზიტი, მისი ყველა წევრი და გრამატიკული კატეგორია მხოლოდ მეგრულია და აღნიშნავს კუთვნილებას, ქვეყნის, ღმერთის, ხალხის კუთვნილებას და მთლიანობაში მსაზღვრელია, იმნაირივე სახელი მორფოლოგიურად, როგორიცაა: ქუდამი(ქუდიანი), ფარამი(ფულიანი), ტახტამი(ტახტიანი), ცხენამი(ცხენიანი), თოფამი(თოფიანი) და ა.შ. ეს ისეთი მიგნებაა, რომელშიც ეჭვის ნასახიც არ შეიტანება. სწორედ ასეთი სახელით შეამკო ისტორიამ მთავარი ეთნარქი, თარშის ძე თარგამოსი. მამისა და შვილის სახელებიც მამაშვილურ კავშირშია – ორივე **"თარი"** გახლავთ და **"თარი გა"** მათ შთამომავალთა, ეგროსიანთა საკუთრებაა (თარშიზე ქვემოთ ვილაპარაკებთ).

ერთი აუცილებელი დეტალი: ნოქალაქევთან, ძველ აბანოებთან, ტეხურს ერთვის მდ. **გურძემია**. ჩემი თვალსაზრისის თანახმად ტეხურსა და გურძემიას შორის მოქცეულ ტერიტორიას უნდა ერქვას გურძემიას სახელი და ეს ასეცაა – სწორედ მათ შორისაა მოქცეული **გურძემიაჭალე** და აქვეა სოფელი ბერთემი, როგორც ადგილობრივ ჰქვია და ყველაზე დიდ ყურადღებას იგი იმსახურებს ნოქალაქევთან ერთად.

იგი ორწევრიანი კომპოზიტია: ბერ-თემი. პირველი წევრი **"ბერ"** ბიჭს, ვაჟს აღნიშნავს მეგრულ–ჭანურში (ლაზურში). აქ ზედმეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ნოქალაქევში მცხოვრები შალამბერიები, რომლებიც შალამბერიძეებად იწერებიან დღეისათვის. **„თემი "**, მეორე წევრი, სოფლის ზოგადი სახელია. მთლიანობაში **„ბერთემი"** ვაჟთა სოფელს, ვაჟთა თემს ნიშნავს.

ახლა დგას საკითხი: რა უნდა ყოფილიყო ნოქალაქევის თავდაპირველი სახელი, სანამ იგი ციხე-ქალაქი გახდებოდა, სანამ ციხე-გოჯი დაერქმეოდა ანუ სანამ ჯიხა აშენდებოდა? ვფიქრობთ, პირველადი სახელი დღემდე შემოინახა კოლხურმა ენამ, მიწა-წყალმა და იგი გახლავთ, **„ბერთემი"**. ციხე-გოჯი გაქართულებული ფორმაა და იგი გვიანდელი სახელია. მასზე ბევრად ადრინდელი მეგრული ჯიხა გონჯი (ან გონჯიში) იქნებოდა (გავიხსენოთ დიდი ჯიხაიში, გოჩა ჯიხაიში). არქეოპოლისიც ძველია (ბერძნული სახელია), ხოლო ციხე ქუჯისა, *„ქართლის ცხოვრების"* ვარიანტი, შედარებით ახალი, ფარნავაზის დროისაა.

მიგვაჩნია: 1. ბერთემი არის არქეოპოლის-ნოქალაქევის უძველესი პირვანდელი სახელი, რომელიც წინ აღუდგა ყოველგვარ ბარიერებს და დღემდე შემოგვრჩა. 2. ციხე გოჯიც არ შეიძლება თავდაპირველი სახელი იყოს. უძველეს დროს, როცა ბერთემში ჯიხა აშენდა, იგი აუცილებლად მცირე მოცულობისა იქნებოდა და მოსალოდნელია დაერქმიათ ჯიხა გო(ნ)ჯი (ან გონჯი ჯიხა), რომელიც აღიქმება როგორც პატარა ჯიხა. გონჯი ადამიანის ცერა თითის (ჩანჩი კითიში) ნაწილია, რომელიც ფრჩხილით ბოლოვდება და ქართულად ჰქვია გოჯი. იგი ყველაზე მოკლე, ყველაზე მსხვილი და ძლიერია ხუთ თითში, ამასთან ყველაზე აუცილებელია. ე.ი. სიმაგრის ქართული სახელია ციხე გოჯი, მეგრულად ჯიხა გონჯი.

თუ როგორ ავხსნათ სიტყვა **ჯიხა,** ეს მე უკვე მოვახსენე მარტვილის ეროვნული მუზეუმის 48-ე სესიას (2001წ. სესიის მასალები, გვ. 27), მაგრამ სიცხადისთვის აქვე განვმარტავ: **„დიხა და ჯა, მიწა და ხე, იყო ის უპირველესი თავშესაფარი, რომელიც გამოიყენა კაცობრიობამ თავის დროზე"**. **„ჯა"** და **„დიხა"** არის ციხე სიმაგრის, თანამედროვე ჯიხას აღმნიშვნელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ **„დ"** ფონემას მეგრულში ხშირად ცვლის **„ჯ"** ფონემა /**„სინდა"**/ (სინჯა-სიძე), თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ **„ჯ"** ბგერა განვითარებულია **„დ"** ბგერისაგან, მაშინ ყველაფერი ადვილად ამოიკითხება და ლექსიკური ერთეულისგან **„ჭალენჯიხა"** (წალენდიხა–წენდიხა) **უნდა მიგველო"** ჯერ ჭალენჯიხა – ჭენწყარის ციხე-სიმაგრე და საბოლოოდ წალენჯიხა (იქვე, გვ. 27).

როგორ ავხსნით სიტყვა **„ჯიხას"**?

ქვითკირის ციხე-სიამგრეები მაღალი განვითარების შედეგია. ადრინდელი ციხე-სიმაგრეები კეთდებოდა ხეებისა და მიწისაგან, მიწის თხრილებით შემოზღუდული ნაგებობები, მიწის დაზვინვით, მრგვალი ხის მორების კედლებით. ჯარგვალი ციხე-სიმაგრის პირველი სახეა. შევნიშნავთ, რომ ძველებურ საოჯახო ჯარგვალებს, ფიცრულ ძველებურ სახლებს, სარკმელები არ ჰქონდათ და შუქი ვიწრო ჭრილიდან შემოდიოდა, რომელშიც ადამიანი ვერ შემოეტეოდა, ამის დასამტკიცებლად მოვიშველიებ **„ქართლის ცხოვრებას": „სპარსელმა დამპყრობმა არდამ ერისთავმა „მოზღუდა ქალაქი მცხეთა ქვითკირითა. მანამდე არ იცოდნენ ქართლში საქმე ქვითკირისა და ამის შემდეგ დაისწავლეს. არდამმა მოავლო ქვითკირის ზღუდე არმაზის ციხეს". („ქართლის ცხოვრება"** I ტ. გვ. 9), ხოლო არმაზის ციხე, ალბათ მაშინ ხისა იქნებოდა.

ითვლება, რომ მცხეთაში ციხე-სიმაგრე მანამდე არსებობდა, მაგრამ მიწისგან და ხისგან გაკეთებული.

აი, ამგვარი ციხე-სიმაგრე შეიძლება ყოფილიყო პირვანდელი ჯიხა გონჯი და, ბუნებრივია, მისი კვალი დღემდე ვერ მოაღწევდა. პირვანდელმა სახელმა ბერთემმა კი, ვაჟთა თემმა, ვაჟკაცთა თემმა, მოაღწია პირვანდელი სახით.

თარგამულის ქედი თვალსაჩინო ადგილზეა მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იგი, ჯერ ერთი, ბუნებრივი ციტადელია, ციხე-სიმაგრეებით დაცული. ესაა სისტემა, რომლის გვირგვინია ნოქალაქი, ბჟერის ციხე-სიმაგრე, ნოჯიხენი, ქაჯიში ნამარანუ მარტვილში, აბაშასა და ინჩხიას უპირველეს შესართავთან, შხეფის ციხე და მრავალი სხვა.

არქეოპოლისის, კოლხეთის უძველესი ნაქალაქარის, სამხედრო სისტემაში შედიოდა ყველა ციხე-სიმაგრე აბაშისა და ტეხურის სანაპიროებზე, მეზობელ ქედებსა და მთებზე ათეულობით კილომეტრის მანძილზე, რომელთაგან მრავალმა მოაღწია ნანგრევების სახით.

ბერთემი დღეისათვის პატარა სოფელია, მაგრამ ათასეული წლების წინათ, როცა შენდებოდა უზარმაზრი ციხე-ქალაქი ასეული და ათასეული წლების მანძილზე და მოგვევლინა კოლხეთის მთავარ დედაქალაქად, ბერთემი, ალბათ, ქალაქად იხსენიებოდა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ახალი ქალაქი სამხედრო დანიშნულებას შეიძენდა. სამოქალაქო სახელი ბერთემი არ შეეფერებოდა სამეფო ციხე-ქალაქს და როცა ჯიხა გონჯი გახდა ჯერ ხისა და მერე ქვითკირისა, მთავარი ბურჯი დედაქალაქისა სხვა მრავალ ჯიხასთან, ციხე-კოშკთან ერთად, ერთიან სისტემაში, ბერთემმა, როგორც ადგილის სახელწოდებამ, დაკარგა ძველთაძველი მნიშვნელობა, მაგრამ არსებობა შეინარჩუნა მიუდგომელი ციხე-ქალაქის სიახლოვეს და შეინარჩუნა თავისი უძველესი სახელიც.

**„ქართლის ცხოვრებაში"** ეთნარქი თარგამოსი რვა შვილის მამად მოიხსენიება და ერთ-ერთმა მათგანმა ბარდოსმა მიიპყრო ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. ბარდოსისათვის ჩაბარებული ქვეყანა არაა დღევანდელ დასავლეთ საქართველოში, მაგრამ სიტყვიერი კავშირი იმდენად უეჭველია კოლხურ სამყაროსთან, რომ აღუნიშნაობა დაუშვებელია. ჩემთვის ისიც გაუგებარია, რომ ჰაოსს, ეროვნებით სომეხს, ჩააბარა თავისი ქვეყნის ნახევარი და ყველა დანარჩენ შვიდ შვილს კი გადაუნაწილა დანარჩენი ქვეყანა მათი ღირსების მიხედვით და ეს ქვეყნები მდებარეობენ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით.

ბარდოსს მისცა მტკვრის სამხრეთით, ბერდუჯის მდინარიდან მტკვრის და რახსის შესართავამდე. ბარდოსმა ააშენა ქალაქი ბარდავი და დაემკვიდრა იქ (**„ქართლის ცხოვრება"** ტ. I, გვ. 4).

ბარდოსის სამეფო დღევანდელ აზერბაიჯანშია, ისტორიული აზერბაიჯანის ნაწილში, ახლანდელი ქ. ბარდავის ახლოს, რომელიც **„V საუკუნეში ალბანეთის სამეფოს დედაქალაქია"** (გვ. 145).

არ დაგვავიწყდეს – ალბანეთი კოლხურ ქვეყნად ითვლება, რომელსაც ჰქონდა თავის დამწერლობა და რომლის ნიმუშები შემორჩენილია დღემდე.

ბარდოსი, ბარდავი უნებურად გვაკავშირებს მარტვილის რაიონის სოფელ ბარდასთან, რომელსაც, რატომღაც, დღეს ბალდას ეძახიან. როცა ეს საკითხი ბარდელებთან განვიხილეთ, მათ განაცხადეს, ბარდა გლეხურად ჟღერსო, თანაც სადაურობა **„ბარდელი"** ცუდად ისმისო. მდინარე ჯღამანჯღარი სოფელ სქურდიში ჩაედინება და მდინარე სქურდის შენაკადია (მარტვილის რაიონი), მიერთვის აბაშას, ხოლო მის ნაპირებზე ჯანჯღავები (ადგილობრივები იტყოდნენ ჯღანჯღავას) რომ ცხოვრობენ, შემთხვევითობად ჩაითვლება? ღელე ჯღამანჯღარმა გვარსახელი უძღვნა ხალხს ისევე, როგორც ბარდამ წარმოშვა გვარსახელი ბართია, ბართაია, რასაც მე ვრცელი ნაშრომი მივუძღვენი 1972 წელს სათაურით **„აბაშა, ბაში ბარდა, ლებარდე"**, რომელიც გავიტანე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სესიაზე და გამოქვეყნდა თეზისების სახით, ხოლო შემდეგ მარტვილის რაიონულმა გაზეთმა **„შრომის დროშამ"** თავისი ფურცლები დაუთმო. ამ ნაშრომში შევეხე არა მარტო აქ ჩამოთვლილ ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს, არამედ გვარ ბართაიას, აბაშიას და აბაშიძეს. საქართველოში პირველმა დავამტკიცე აბაშიძის გვარის წარმოშობის მიზეზები, გვარსახელის ორმაგი ბრუნვა, **აბა** და **ბა** ელემენტები, როგორც სიტყვის ფუძეები. სამწუხაროდ, ამ თემის გზა ამით დამთავრდა ისევე, როგორც სხვა მრავალისა.

ბარდა, ბარდოსი, ბარდავი შედგება ერთი ფუძისაგან – **„ბარდა"** და ჭეშმარიტი სახით იგი შემოინახა მარტვილის რაიონში. ეს სოფელი მდინარე აბაშის აუზში მდებარეობს, თარგამულიდან ერთი ხელის გაწვდენაზე, თარგამულთან კი დაკავშირებულია ეთნარქ თარგამოსის სახელით.

თარგამოსის მამაა **„თარში"**, რომლის ძირია **„თარი"** სიტყვა, ხოლო **„ში"** სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია მეგრულში ასეთი სახით თარ-(ი)-ში და კუთვნილებას გამოხატავს. ქართულად ასე ითარგმნება – მთავარისა, რჩეულისა.

ამ ნაშრომით რამდენიმე ახალი საკითხი წამოვწიე. შევეცადე, ამომეხსნა ზოგი მათგანი. ჩემი თვალსაზრისით საკმაოდ ნათლად გავაცანი მკითხველ საზოგადოებას და ამით შევქმენი ახალი სამუშაო გარემო.

შეცდომებზე იზრდებიან, შეცდომებზე სწავლობენ.

ესაა ჭეშმარიტების შეცნობის შეუმცდარი გზა.

**ომარ ხუხუა,**
**"ფაზისის" აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



*სერგეი კრემლიოვი*

# ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი**

ბერია რომ მართლაც ისეთი **"მონსტრი"** ყოფილიყო, როგორადაც მას მისი მოძულეები ამტკიცებენ, იგი განაცხადებდა, რომ მერკადერმა თავისი შავი საქმე გააკეთა და ახლა მისი თავი თუნდაც წყალს წაუღიაო. პირიქით, მასაც მოაკვლევინებდა, რომ მტრისათვის ბევრი რამ არ დაეფქვა. ოცი წლის შემდეგ ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის მესვეურები სწორედ ასე მოექცევიან კენედის ვითომ კვლელ ლი ჰარვი ოსვალდს, შემდეგ კი ოსვალდის რეალურ მკვლელ ჯეკ რუბის. რამონ მერკადერზე კი, რომელიც დაპატიმრების შემდეგ საერთოდ ჩამოშორდა სსრკ შინსახკომის საქმეებს, ლავრენტი ბერიას უწყება ყოველნაირად ზრუნავდა მისი ციხეში ყოფნის დროსაც.

რაც შეეხება ისეთ დელიკატურ საქმეებში ლაყბობას, როგორიც დაზვერვაა, აღვნიშნავთ, რომ უცხოეთის სპეცსამსახურებმა მერკადერის ვინაობა დააზუსტეს მხოლოდ 1946 წელს, როცა ერთ-ერთი აქტიური ესპანელი კომუნისტი მოსკოვიდან კაპიტალისტურ ქვეყანაში გაიქცა. მას კი მერკადერის დედამ მოუთხრო **"საიდუმლოდ"** ტაშკენტში, რომ ტროცკი სწორედ მისმა პირმშომ **"გააგორა"**.

აი, ეს გახლდათ ნამდვილი გაცემის კლასიკური ნიმუში. ასე რომ, უნდობლობას, რასაც ლავრენტი ბერია დაზვერვის საქმეებში ავლენდა, ჰქონდა თავისი მყარი საფუძველი — ზოგჯერ უაზროდ დაყრანტალებული უმნიშვნელო სიტყვაც კი შეიძლება სასიკვდილო საფრთხის შემცველი გამოდგეს შენი შვილისთვისაც კი.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერიას ნდობაც შეეძლო. და ისინი, ვისაც ბერია ენდობოდა, ამ ნდობის ღირსები ნამდვილად იყვნენ. სწორედ ასეთი ნდობის ღირსი აღმოჩნდა ალექსანდრე კოროტკოვი... 1940 წელს იგი აქტიურად მუშაობდა და გერმანიაში გააგზავნეს ერთთვიანი მივლინებით, რომელიც თითქმის ექვსი თვე გაჭიანურდა. იმავე წლის დეკემბერში იგი კვლავ დაბრუნდა რეიხში, და მაშინვე, ბერლინის საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის ამაიაკ ქობულოვის სახელზე, რომლის მოადგილედაც ინიშნებოდა კოროტკოვი, გაიგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

**"მისი ძირითადი დავალება, პირველ ეტაპზე, ამხანაგ პავლეს მითითების შესაბამისად, იქნება "კორსიკელთან" მუშაობა და მისი ყველა კავშირის დეტალური დამუშავება...**

**ამავე დროს, თქვენ იგი უნდა გამოიყენოთ როგორც თქვენი ძირითადი თანაშემწე ყოველნაირ ოპერატიულ და საორგანიზაციო საქმიანობაში, რაც რეზიდენტურას უკავშირდება... ასევე თქვენი კანტორის საქმიანობის გასააქტიურებლად..."**

ამხანაგი პავლე კი ბერია გახლდათ.

და იგი მართლაც უფროსი ამხანაგი იყო იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც ლავრენტივით თავაუღებლად მუშაობდნენ.

სტანისლავ ვაუპშასოვი თავის მოგონებებში დიდი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის ერთ-ერთი გმირის სიტყვების ციტირებას ახდენდა: **"წინაა ორმოცდაათწლიანი გამოუცხადებელი ომი, და მე ამ ვადით გაფორმებულ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი"**. ვაუპშასოვი პროფესიონალი ჩეკისტი იყო. ლავრენტი ბერიაც.

მაგრამ ვაუპშასოვი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთ საქმეს აკეთებდა, ბერიას კი, უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, ცხოვრებისეული მთავარი საკეთებელი საქმე რამდენიმე ჰქონდა. და ჩეკისტური საქმიანობა არ გახლდათ ლავრენტი პავლეს ძის ერთადერთი სიცოცხლისმიერი ხაზი, სადაც მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როგორც ჩეკისტმა, როგორც ორგანიზატორმა და საბჭოთა სპეცსამსახურების დიდმა რეფორმატორმა.

მისი მთავარი წარმატებები უაღრესად ხელშესახები იყო იმდენად, რამდენადაც იგი მიღწეულ იქნა ქვეყნის ცხოვრების ღია სფეროებში — სოციალისტურ აღმშენებლობაში. იგი თანდათან ვითარდებოდა დიდი წარმატებით, ამასთან, შენდებოდა არა მხოლოდ ფაბრიკები და ქარხნები, არამედ ახალი ადამიანიც.

ამ საერთო-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში 1941 წელს ნათლად გამოიკვეთა ლავრენტი ბერიას როლი და მნიშვნელობა — მალე იგი შეთავსებით დაინიშნება სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

1935 წელს ცნობილმა საბჭოთა მწერალმა არკადი გაიდარმა დაწერა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ნაწარმოები — მოთხრობა **"ცისფერი ლამბაქი"**. 1938 წელს კი დაამთავრა კინოსცენარი მის მიერვე 1934 წელს შექმნილი ნაწარმოების მიხედვით **"სამხედრო საიდუმლო"**. არკადი გაიდარმა, ამავე დროს, რამდენიმე წერილობითი რეკომენდაცია მისცა ფილმის დამდგმელ რეჟისორს, რომელშიც ნაწარმოების მთავარი გმირი ნატკა შეგალოვა წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

**"ნატკა შეგოლოვა — ახლახან წამოიჩიტა. იგი ჭკვიანი ადამიანია. აქვს მსუბუქი ირონია, მაგრამ ამას იგი ავლენს არა მხოლოდ სხვების (რომელთაც ძალზე ხშირად აწყდება), არამედ საკუთარი თავის მიმართაც.**

**იგი კულტურული საბჭოთა გოგონაა — ისეთი, რომელთა მსგავსი დღეს, მართალია, ბევრი არა გვყავს, მაგრამ სამ-ოთხ წელიწადში ისინი მრავლად იქნებიან ."**

გაიდარის ფორმულით, **1938+3...4=1942** წელს.

მაშ ასე, 1942 წელს სამშობლოში დავანებული პერსპექტიული სიტუაცია უნდა წარმოედგინათ ახალ სისტემაში ფორმირებულ ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალიშვილებს. ესენი უკვე იყვნენ არა პირველი ენთუზიატები, არამედ პირველ ენთუზიასტთა შვილები. სწორედ მათში ხედავდა სტალინი დიდი სახელმწიფოს მტკიცე საყრდენს. სწორედ მათ უნდა უზრუნველეყოთ 1941 წლის დასასრულისათვის ალტერნატიული არჩევნები და საბოლოოდ დაემსხვრიათ **"პარტოკრატია"**, ისინი არავის მისცემდნენ მათი შეგნებით მანიპულირების უფლებას და არასოდეს დააყენებდნენ ეჭვის ქვეშ საკუთარ მცდელობას ბედისა და ქვეყნის მომავლის გაძღოლაზე.

1940 წელს, სსრკ სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენის (რომელიც სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის წინაპარი გახლდათ) მთავარი პავილიონის შესასვლელს ამშვენებდა დიდი პლაკატი შემდეგი წარწერით:

**"მშურს ჩვენი შვილებისა და შვილისშვილების, რომლებიც იხილავენ რუსეთს 1941 წელს, დამშვენებულსა და განათლებულს...**

**ბესარიონ ბელინსკი,**
**1841 წელი".**

ეს არ გახლდათ მთლად ზუსტი ციტირება, 1840 წელს ბელინსკი ასე წერდა: **"მშურს ჩვენი შვილებისა და შვილისშვილების, რომლებიც იხილავენ რუსეთს 1940 წელს, განათლებული მსოფლიოს სათავეში მდგომს, ახალი კანონების შემოქმედსა და იმ მეცნიერების ცენტრს, რომელსაც დიდ მადლობას გადაუხდის მსოფლიოს განათლებული კაცობრიობა**".

მაგრამ, გამოფენის ორგანიზატორებს უნდა მივუტევოთ ეს მცირე უზუსტობა, რადგან მთლიანად ციტატა ბედნიერი მომავლის მიმანიშნებელი გახლდათ. ასე თუ ისე, მთავარი სათქმელი ზუსტად იყო გადმოცემული: მომდევნო 1941 წელი მართლაც შეიძლებოდა ქცეულიყო იმ ეპოქად, რომელსაც რუსეთს უწინასწარმეტყველებდა **"მოუსვენარი ბესარიონი"**.

### თავი 14
### ბუტერბროდები ტუპოლევისათვის და ცოლი რეზიდენტისათვის

საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკა დამაჯერებლად, სწრაფი ტემპებით მიიწევდა წინ. ყველანი — რა თქმა უნდა, დღევანდელი **"დემოკრატების"** წინაპართა გარდა — იმ ავბედითი ომის წინა წელს დიდი ხნის შემდეგაც ამოოხვრით იხსენებდნენ: **"დიახ, მეორე მსოფლიოს ომის წინ ჩვენ კარგად ვცხოვრობდით"**.

შესანიშნავი საბჭოთა მწერლის ვალენტინ ოვეჩკინის მოთხრობის **"ფრონტული სალმით"** გმირი ზემდეგი კრაპივა 1944 წელს ეუბნება თავის ამხანაგებს:

**"— ეჰ... რა დიდებულად ვცხოვრობდით ომის დაწყებამდე, მაგრამ, ამას თურმე ჯეროვნად არ ვაფასებდით. თავად განსაჯეთ. შესანიშნავი დამარილებული ქაშაყი ორნახევარი მანეთი ღირდა, რამდენსაც მოისურვებდი, იმდენს შეიძენდი. თუნდაც ერთი კასრი გეყიდა, დამშლელი არავინ იყო. ახლა ასტრახანის ზურგიელს არ იკითხავ? მაჯის სიმსხო ნაჭრები ელაგა დახლებზე, ცხიმი გასდიოდა, როგორც შებრაწულ გოჭს. ახლა დონის თევზეულობა გავიხსენოთ, უმაღლესი ხარისხის, დაფნის ფოთლიან მარინადში ჩალაგებული, ოთხი და ორმოცდაათი რომ ღირდა. რომელ მაღაზიაშიც არ უნდა შესულიყავი, დახლები იდრიკებოდა პროდუქტების სიმძიმისაგან. ძეხვი, რომელი სახისაც გნებავთ: სამოყვარულო, იქნებოდა, ჩაიზე მისატანებელი, ვარშავული თუ კრაკოვული, სოსისები და სარდელები უხვად ელაგა დახლებზე, შებოლილ ხორცს კი რა გამოლევდა... ახლა სასმელს არ იკითხავთ: უბრალო არყით დაწყებული და შერჩეული პორტვეინით დამთავრებული, რომლებიც თიხის ჭურჭელში ესხა, რომ გახსნიდი, არომატი მთელ დარბაზს მოედებოდა. არა და, რა იაფი იყო ყველაფერი! არც ბარათი გჭირდებოდა, რიგებსაც ვერსად ნახავდი..."**

ამ რეალისტური სურათის აღწერის შემდეგ კრაპივა ამბობს:

**"ახლა, ისიც გაიხსენეთ, როგორ ღვეზელებს ამზადებდა ჩვენი ხორცკომბინატი. ახლაც მახსოვს ღვიძლის ფარშით სავსე ღვეზელის გემო, ცალი ოცდათხუთმეტი კაპიკი რომ ღირდა. ახლა ციმბირულ პელმენეს არ იკითხავთ? კილოგრამს ორი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი ჰქონდა ფასი, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო!.."**

ეს სურათი, მართალია, ყველა რეგიონისათვის არ იყო დამახასიათებელი, მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, რომ რისკიანი მიწათმოქმედების ზონაში მყოფი რუსეთი კიდევ ერთ ხუთწლედში საბოლოოდ გადაწყვეტდა სასურსათო პრობლემას. ამავე დროს ქვეყანაში გაყიდვაში შევიდოდა არა მხოლოდ სამამულო წარმოების რადიომიმღებები, არამედ სამამულო წარმოების ტელევიზორებიც — მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორის გამომგონებელი ზვორიკინი უკვე ოკეანის გაღმა ცხოვრობდა.

მიაღწია რა საბჭოთა კავშირში მაღალ დონეს წარმოების საშუალებათა წარმოებამ ("ა" კატეგორია), ქვეყანას საშუალება მიეცა განევითარებინა მოხმარების საშუალებათა წარმოება **("ბ"** კატეგორია).

ბევრი უკეთესობა იგრძნეს ამ ათწლეულის განმავლობაში მუდამ გაჭირვებაში მცხოვრებმა რუსეთის იმპერიის ხალხებმა... ისინიც კი, ვინც ოთხიხუთი წლის წინ დიდი სიმპათიით არ იყვნენ განწყობილი საბჭოთა ცხოვრების წესისადმი, ახლა გაოგნებულები იჩეჩდნენ მხრებს და საკუთარ თავს ადანაშაულებდნენ წარსულის შეცოდებებში.

ამას რომ ვწერ, მხედველობაში მყავს დიდი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლევიც...

1937 წლის 21 ოქტომბერს სსრკ შინსახკომის ორგანოებმა, რომელსაც მაშინ ეჟოვი თავკაცობდა, დააპატიმრეს წამყვანი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა იოსებ სტალინი.

1936 წელს ტუპოლევი სამჯერ იმყოფებოდა კრემლში, სტალინის კაბინეტში — 14 ივლისს, 14 დეკემბერს და 31 დეკემბერს. მაგრამ არ გასულა ერთი წელი და სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი ინჟინერი ორგანოებმა **"აიყვანეს"**. მის დაპატიმრებამდე და მისი დაპატიმრების შემდეგაც ქვეყანაში არც თუ იშვიათად აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს (ინჟინრებსა და სპეციალისტებს იშვიათად უსჯიდნენ დახვრეტას და, როგორც წესი, მათ შრომა-გასწორების კოლონიებში მოთავსების შემდეგ აძლევდნენ სპეციალობით მუშაობის გაგრძელების საშუალებას). მაგრამ, ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლევის შემთხვევა უნიკალური იყო იმით, რომ მასთან ერთად დააპატიმრეს და და **"განსაკუთრებულ პირობებში"** მუშაობის საშუალება მისცეს ათეულობით მის თანამშრომელს.

უამრავი აბდაუბდა დაიწერა გამოჩენილი საბჭოთა ინჟინრების უსამართლოდ რეპრესიების თაობაზე. უფრო მეტიც, ა. ტოპტიგინი სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ იოსებ სტალინი დიდ პატივს არ სცემდა ტექნიკურ ინტელიგენციას და მხოლოდ იმიტომ ითმენდა მათ წრესგადასულ პრეტენზიებს, რომ ინჟინრების გარეშე ხუთწლიანი გეგმების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ვერც მოსალოდნელი ომისათვის მოემზადებოდა ქვეყანა სათანადოდ. და ამის ნათელ მაგალითად ტოპტიგინს ტუპოლევი მოჰყავს.

მაგრამ ტუპოლევი არის არა ნათელი, არამედ ამის ტიპიური გამოვლინება. და მე ამ ისტორიას შევეხები მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბერიას სახელს უკავშირდება. მხედველობაში თუ ოფიციალურ ვერსიას მივიღებთ, აქ ბერია **"დემოკრატებისათვის"** სასურველ სახეს ვერ მიიღებს — იგი არც ჯალათია და არც სისხლიმსმელი, მაგრამ, მაინც არ არის დადებითი პიროვნება. ამიტომ, უნდა შევჩერდეთ ტუპოლევის ისტორიაზე...

1954 წლის 27 დეკემბერს ტუპოლევი შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის ხრუშჩოვს:

**"პატივცემულო ნიკიტა სერგის ძევ!**

**თქვენთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ჩვენთვის რეაბილიტაციის საკითხების მოსაგვარებლად, გიგზავნით ჩემდამი დაქვემდებარებული საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელთა სიას, რომლებიც 1937-1938 წლებში იქნენ რეპრესირებული შინსახკომის ორგანოების მიერ და გათავისუფლდნენ ვადაზე ადრე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ნასამართლობის მოხსნით.**

**აღნიშნული სია 9 გვერდზე თან ერთვის.**

ტუპოლევი".

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგრული პოეზიის რაფსოდია

***გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).***

სოიშა ძიქვა გამგოლუნი,
ვებარდღალა, ქუმარჩქილი:
ტარ – სიმინცგ უსკინჩანცგ,
მარა... ქუმურც დამორჩილი!

ართშახ მათი გეგნოფჩირთი –
მოჭაჭილი კოჩიშ გეშა:
დიდ დიარას ართ ოსურქუ
გვალო ქუკმონდღულუ ჩხეშა.

გალე ქოიჯინექია...
ქიმმოწურუ ოლაგეშა,
შქა შეფაშე გაგშაბჟიფი –
ვეკმოჯინუ მერქიფეშა!

სერ გოხოლუდ თუთარჩელა,
ქიმშვოცითგ ნაცალასგ,
ჩქგ ორგიაქ მეცალესგნ...
ღორონთქ ირკოც აცალასგ!

იმ წანასგ დოლო ვეიშგ
დიხას – ჩქგნი ნანწალასგ.
გგმაშინენ, ასე ხოლო
ხე დო ბირგულ ცანცალანცგ.

ქორთხინქ, მანგას გამგონათგნ:
ვართ მა ბჯოგუ ხათუნეფი,
ართო ქობსურებუდასგ
თინეფიში პატონეფი!

მარა, ბაბა სქვამი ცირა –
განც-განც გილნაფანდურეფი,
ჯარგვალიშა ვამლაიცადგ,
ვამნორდგუდა სართულეფი!

ქო, სქვამეფცგთ გგშეგორუ
ნაყონა დო ჯინჯი ნწარე.
ართის ქომონჯ უყორცგნი,
მაჟია, ემერ, შხვაშ ნორცხვა რე!

ჭყიშიშ თოლი ვალარსხუდა,
ქოუჯგ, შური ვაწინწარე,
ზისნახესგ მეჭარ, მარა,
ეშმაკიში ლახვაცა რე!
* * *
ძღაბი გინმოძირესგნი,
ფუჩონილირდ დამორჩილი.
მანჯეფც მერყეთ განჯარგდგ
წუწელ ორქო დო ვარჩხილი.

მეჯინელო მუთა უჭირდ,
წარ ქაფუდუ ჭე ნოჭკილი.
სუმ მურთაქას მუნოხედ დო
იშენ მოჩქგდ ტანმორჩილი.

მარებელი ყაყაფითგ
გილაჩაკანდ, ოჩიცალო,
შურო ქოყიანქიადა...
ა, დუყია, ოჩიჩალო.

ვიდრე ჩაგძვრებათ შარვალი
ნუ დადიხართ გარე-გარეთ...
სიმინდს ტარო კი აქვს გრძელი,
მაგრამ მოვა შემოდგომა...

ერთხელაც მეც შემაცდინეს,
ხომ ხარბია კაცის გული,
ერთ ნადიმზე ერთმა ქალმა
თეძო ამწვა-ამიცხელა.

გარეთ დაგელოდებიო,
მიმასწავლა ოლაგესთან...
მეც სუფრიდან წამოვხტი და
არც გავხედე მერიქიფეს.

ღამე იყო თუთარჩელა,
ჩავიკარგეთ თივის ზვინში,
ჩვენ ორგია რომ დაგვცალდა
თქვენც დაგცლოდეთ, უფლის ნებით.

ბალახიც არ ამოსულა
გადაბელილ იმ მინდორზე
რომ ვიხსენებ ჟრუანტელი
ახლაც მივლის ნთელს სხეულში.

გთხოვთ, ეს სწორად რომ გამიგოთ –
მე როდი მძულს ხათუნები
ის კი არა – მე შემყროდეს,
ყველა მათი ბატონები.

მაგრამ, ბაბა, სქვამი ცირა
გან-გან ნახეტიალები,
ჯარგვალში არ გაჩერდება
თუ სასახლე არ დაუდგი.

მათ შორისაც არის ხოლმე
ველურ ნერგზე დამყნობილიც.
თუ კი ერთი ქმარს ერთგულობს,
მეორე – სხვას ნაღვერდალობს.

თუ არა გაქვს მწყემსის თვალი,
გიჯობს სული არ წარწყმიდო,
ლამაზმანებს შეხვდი, მაგრამ
ის ეშმაკის კერძი არის.
* * *
გოგო გადამანახულეს –
აღებული იყო ყანა...
მაჯებზე უყანყალებდა
ოქრო-ვერცხლის სამაჯური.

შესახედად, რა უშავდა,
თუმცა იყო წარბდამჭკნარი.
ბალიშზე კი იჯდა, მაგრამ
მაინც ჩანდა ტანდაბალი.

მაჭანკალი ბაკა-ბუკით
დადიოდა ყოჩივითა:
– ყვინჩილობა თუ ძალგიძსო –
ა, ვარია დასაჩინჩლი.

ქართული ენის ლექსიკა

## გასაოცარი ლექსიკური სიმდიდრე

*სიტყვა "მოდის" მნიშვნელობას მეგრულ ენაზე აქვს 500-ზე მეტი შესატყვისი. ე.ი. განისაზღვრება და გასაგებია იმის მიხედვით, თუ რანაირი ადამიანი მოდის, ან როგორ მოდის. ასეთივე გასაოცარი ლექსიკური სიმდიდრე ვლინდება სხვა სიტყვების (ზმნების) ანალოგიური მნიშვნელობებითაც. მაგალითად:*

**მოურს** (მურს) – მოდის;
**მაწკანტანს** – სადღესასწაულოდ, სუფთად და კოხტად გამოწყობილი;
**მაწარკანს** – ტანადი, გამართული, აზიურში გამოწკიპული, ხალათზე ქამარმოჭერილი;
**მაწვაწვანს** – შეჭაღარავებული, ოქროსფერი, ცოტა შეთეთრებული წვერით;
**მაწვარანს** – მოხუცი თოვლივით ქათქათა თეთრი წვერებით;
**მაწკვარანს** – თვალები ეშმაკურად მოღუშული, ქუთუთოები შეშუპებული;
**მაწკვაპანს** – მელიის წრიპინა ნიკაპით, დანის პირივით წაწვრილებული სახით;
**მასვასვანს** – ტანადი, ჯენტლმენი, სასიამოვნოდ ჩაცმული, ელეგანტური;
**მასარჩანს** – სოვლახანა, ზოზინით, გუნებაარეული;
**მასქვაჭანს** – წარბებქვეშ მოკვესარე თვალები უღიმილებს, უბრწყინავს;
**მასანგვანს** – პირქუში სახე, თითქოს თავი ქვისგანაა გამოკვეთილი;
**მასვართანს** – მაღალი, არწივისებური კეხიანი ცხვირი;
**მასარგანს** – მაღალი, უტალანტო, უძრავი სახით;
**მოსაპანს** – მაღალი, თითქოს მესერი ჰქონდეს გადაყლაპული;
**მასარღანს** – მაღალ ფეხებზე, გრძელი ნაბიჯით დაძაბული სვლა;
**მასქანჩანს** – ჯიქური, მტკიცე ნაბიჯით;
**მასაქანს** – ბოლოქანქარა ჩიტივით;
**მაჯარღანს** – მაღალ ფეხებზე ყარამან-ყანთელის მოყვანილობის;
**მაჯგვაჯგვანს** – გოლიათი, დაბურცული გულ-მკერდით;
**მაჯარგანს** – ახმახი აღნაგობის, მძიმე ნაბიჯებით;
**მაჯაქანს** – დიდ **"დიფერიანი"**, ფატვირთული, გულგრილი დამოკიდებულების;
**მაჯღარკანს** – ბარბაცით, არეულ-დარეული სიარული, ქალამანივით გაჩხიკინებული;
**მაჯგვაფანს** – ფართო სახის, მოჭარბებულ სასიცოცხლო ენერგიით, ქედმაღალი;
**მაჯარჯანს** – მოდუნებული ტანი;
**მაკვანწანს** – აკურატული წყნარი;
**მაკაჭანს** – ფეხმოღუნული კაჭა;
**მაკვანჭანს** – დაბალი თმახუჭუჭა, პატივმოყვარე;
**მაკვაკვანს** – პაწია კორექტური კაცუნა, ბავშვზეც ითქმის;
**მაკვაზანს** – დაბალი, ჩასხმული, საზრიანობის გამომმჟღავნები;
**მაკვატანს** – იხვივით მოდის;
**მაკატანს** – მუცელ და ნეკნებგამობურცული;
**მაკვაპანს** – ცდილობს აღელვების დამალვას, წყნარი გამეტყველების მიღება სურს;
**მარჯღამანს** – სიხარულით გასხივოსნებული სახე;
**მარანტანს** – თხასავით ზერელედ იყურება;
**მარცხამანს** – პრანჭია და ქედმაღალი, თეთრი ვიწრო, თვალგაშტერებით;
**მარაჟანს** – წითური, აღგზნებული, გაღიზიანებული;
**მარაყანს** – მაღალი, დასერიოზულებული სახე, პირქუში, თავმომწონე.
**მარანგვანს** – მსხვილი თავით და გამობურცული შუბლით;
**მარჭამანს** – ალმოდებული, ცეცხლოვანი თვალებით;
**მარაკვანს** – უქუდო, წვრილთავიანი;
**მარსამანს** – ხმაამოუღებელი, სუნთქვაშეკრული, შეურაცხად მდგომარეობაში.
**მარაყვანს** – მოაბაკუნებს, ფრთხილობს, რაღაც საშინელებას ელის.
**მაბაჩანს** – ბოჩოლა, შესაწირად გამზადებული;
**მაბაჯგანს** – დიდი აღნაგობის, ფართოტერფიანი, დათვივით მოდის;
**მაბარჯანს** – აუჩქარებლად, გულგრილი გამომეტყველებით;
**მაბარჩხანს** – შეჟიჟღინებული მკვირცხლი მეტყველი თვალებით;
**მაბაყყვანს** – ნერვებდაწყვეტილი, გამოთაყვანებული;
**მაბადანს** – აბნეული, ბოთე.

**შეადგინა მირიან ჯალაღონიამ,**
**ჟურნალი "აია", 2000 წელი, №8.**
**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან როგორ გასხვისდა აფხაზეთი.

...საქართველოში შექმნილმა ქაოსმა და გაბატონებულმა განუკითხაობამ, უზნეობამ, არახელსაყრელმა საერთო დინებამ, გამწვავებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და დაპირისპირებებმა, ადგილობრივი თუ მოვლენილი **"ლიდერების"** წინდაუხედავმა და ბინძურმა პოლიტიკურმა თამაშებმა, მათმა ავანტიურულმა პოლიტიკამ და ქმედებებმა, შექმნეს და ხელი შეუწყვეს იმ ფეთქებადსაშიშ ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის წინ აფხაზეთში. სწორედ რომ ამან (ზოგ აფხაზთა სეპარატისტულ პოლიტიკასთან ერთად) განაპირობა კონფრონტაციის გაღრმავება და ხელი შეუწყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას....

...კატეგორიულად არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომელიც გავრცელებულია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, თითქოს ტანკებით რომ არ შევსულიყავით, ორ დღეში სეპარატისტები თავს დაგვესხმებოდნენ და ომს დაიწყებდნენ.

ეს მტკნარი სიცრუეა, ამას ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით!

ეს მითი დასჭირდათ იმათ, ვინც წამოიწყო ეს უგუნურება, რათა გაამართლონ და განამტკიცონ საკუთარი პოლიტიკური სიბეცე და დანაშაულებრივი საქმიანობა.

თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს, რომელიც, დოსტოევსკისა არ იყოს, თვით სამშობლოზე უზენაესია.

განა ჩვენვე არ დავადექით თავიდანვე გათიშულობისა და განხეთქილების გზას?! გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ როგორ გავყავით უნივერსიტეტი აფხაზეთში, შემდეგ მწერალთა კავშირი, საფეხბურთო გუნდი და ბოლოს... პარლამენტიც. ეს ყველაფერი ჩვენი ვაი-პოლიტიკოსების დაუღალავი მეცადინეობით ხდებოდა, ეროვნულ ლოზუნგებსა და ქართულ ინტერესებზე ამოფარებით კეთდებოდა. სინამდვილეში კი ყველაფერი მათი პირადი, კარიერისტული ან კლანურ-მაფიოზური, კომერციული ინტერესებით იყო განპირობებული.

საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ სოხუმის უნივერსიტეტთან დაკავშირებული ისტორია. ამაზე საზოგადოებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. საილუსტრაციოდ მოვიყვან ამონარიდს ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ პაპასკირის პუბლიკაციიდან (გაზ. **"საქართველოს რესპუბლიკა"**, 2007 წლის 23 თებერვალი, №35, (5636). იგი წერს: **"1989 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახლეჩა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე თსუ-ს სოხუმის ფილიალის შექმნა სულაც არ იყო ქართველ ექსტრემისტთა დესტრუქციული ქმედების, მით უფრო კარიერას და ფულს დახარბებულ ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ჯიუტი ახირება, როგორც ამას აბრალებდნენ და დღესაც აბრალებენ აფხაზეთის ქართველობის საერთო-სახალხო საპროტესტო** (სხვათა შორის აფხაზეთის სინამდვილეში მანამდე უპრეცედენტო) **აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს სეპარატისტები და მათი ლაქია ცალკეული მედროვე ქართველები"**.

არ ვიცი, ვის გულისხმობდა ბატონი პაპასკირი... იგი არ გახლავთ უნიჭო პიროვნება. მას, როგორც ზოგიერთ სხვა **"პოლიტიკოსს"**, კარგად ეხერხება ნებისმიერი უაზრო და უკუშედეგით გამორჩეული ქმედება შეფუთოს ისე, რომ უბრალო მოკვდავთა თვალში ანტიგმირი წარმოაჩინოს, როგორც ეროვნული მოღვაწე. საზოგადოებამ, განსაკუთრებით აფხაზეთში, კარგად უწყის, თუ ვინ არიან ბატონი ზურაბ პაპასკირი და ძმანი მისნი, თუ რანაირი მუხტი შეჰქონდათ მათ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. სწორედ რომ ისინი, ეროვნულ დროშას და ლოზუნგებს ამოფარებულნი, ეწეოდნენ დესტრუქციულ საქმიანობას ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოსთან ერთად.

თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ერთ-ერთმა მუშაკმა, ერთხელ ჩემთან პირად საუბარში აღიარა: **"ბატონო ნაპო, აფხაზები ისე ირიცხებიან უნივერსიტეტში, რომ მადლობასაც არავინ გვეუბნება. თუ ვინმე იხდის, ეს ჩვენებია. რატომ უნდა ილექებოდეს ეს აფხაზების ჯიბეში?"** მისმა გულახდილობამ გამაოცა, უფრო მეტად იმან, რომ ეს ხდებოდა 1989 წლის ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მას კი სინანულის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. ჩემთვის ისედაც ნათელი იყო უნივერსიტეტის გაყოფის ნამდვილი მიზეზი და მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭირო, საიდან მოდიხარ?..

**ინცესტი** – სისხლის აღრევა
*უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტება.*

ამ სიტყვის თქმაც კი ამაზრზენია, არამც თუ მასმედიის საშუალებებით იმის მოსმენა, რომ საქართველოში ვინმე ორფეხა პირუტყვმა, ძალადობითა თუ ნებაყოფლობით, დაამყარა სექსუალური კავშირი თავისი ოჯახის უახლოეს წევრთან...

ქვეყნად არ არსებობს იმაზე მძიმე სისხლის სამართლის თუ მორალური დანაშაული, ვიდრე სისხლის აღრევაა. თვით ეკლესიაც კი ერიდება ამ საშინელებაზე საუბარს, რადგან არცერთი საეკლესიო ნორმა კონკრეტულად არ კრძალავს იმას, რაც უზენაესის მიერ თავისთავად აკრძალული და საშინელ დანაშაულადაა აღიარებული მას შემდეგ, რაც ადამიანისმაგვარი არსება ტყიდან გამოვიდა, ორ ფეხზე დადგა და ადამიანურად აზროვნება დაიწყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მაინც ვერ გაადამიანდა...

თვით ნადირული ინსტინქტით მოქმედმა გარეულმა თუ შინაურმა ცხოველებმაც კი იციან, რომ სისხლის აღრევა დაუშვებელია. მაგალითად, ლომები პრაიდიდან აძევებენ მათივე შობილ მოწიფულ მამრებს და სხვა პრაიდებში გადანაცვლებას აიძულებენ მათ, რათა ინცესტი აიცილონ თავიდან და მათი ჯიში დეგრადირებისაკენ არ წავიდნენ.

სამწუხაროდ, ეს არ იცის ადამიანად წოდებულმა ზოგიერთმა ორფეხა ცხოველმა და ახლობელ ადამიანთან სქესობრივი კავშირის დამყარებით წარმოუდგენელ დანაშაულს სჩადის. ამგვარი საშინელების მოსმენის შემდეგ ნორმალურ ადამიანს შვილებისა და შვილისშვილების მოფერების სურვილი დაგეკარგება, რადგან ბავშვთან მოახლოებისას ტვინს გიბურღავს ვიღაც არაკაცის საქციელი, რომელსაც სანუკვარ არსებაში შეუძლია მხოლოდ მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენელი დაინახოს.

ფუი, ეშმაკს!

მსოფლიოს ცნობილი ფსიქოლოგები (ბერდიაევი, შტაინერი, ფროიდი და სხვები) ცდილობდნენ ადამიანების ტვინისა და გონებრივი წიაღსვლების ანალიზით მიეკვლიათ ინცესტის გამომწვევი მიზეზებისათვის, მაგრამ, როგორც წესი, იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ყოველი ამგვარი არანორმალური საქციელის ძირითადი მიზეზი მათი გონების დამთრგუნავი ანომალიური განცდები და სქესობრივი დაუკმაყოფილებლობის აკვიატებული გრძნობა გახლდათ.

მედიცინის ენაზე ამას მძიმე ფსიქიური გადახრა ჰქვია, რომელსაც გამოვლენა და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება, რადგან იგი ნარკომანიაზე ბევრად მძიმე დაავადებაა და საზოგადოებისათვის დიდი საფრთხის მატარებელია.

ისიც ფაქტია, რომ დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროს მოსახლეობა, კლიმატის, მაღალკალორიული საკვებისა თუ სხვა ფაქტორების გავლენის გამო ბევრად უფრო ტემპერამენტიანია და ადრეული ასაკიდანვე უჩნდება სქესობრივი ურთიერთობისადმი ლტოლვა.

ამ ფაქტორს თვით კომუნისტებიც კი ითვალისწინებდნენ. მაგალითად, თუ მამათმავლობა საბჭოთა კავშირის სამხრეთ რეგიონებში სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად 8-10-წლიანი ციხით ისჯებოდა, იგივე გადაცდომისათვის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მხოლოდ ოთხწლიანი სასჯელი იყო განსაზღვრული, ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში კი ამგვარი სიგლახე, ისჯებოდა კი არა, ხალისდებოდა კიდეც, რაც დღეს თვალნათლადაა ასახული მათ უბადრუკ ყოფაში. ამგვარი გრადაცია გამოწვეული იყო იმით, რომ ხშირ შემთხვევებში, სამხრეთ რეგიონებში, მამათმავლობის საფუძველი გახლდათ სექსუალური ძალადობა, მაშინ, როცა ტრადიციულად **"გაჰომოსექსუალებული"** ჩრდილოეთის ზონის მამაკაცები დღედაღამ თავად დარბოდნენ სქესობრივი პატრნიორის მოსაძებნად.

ამრიგად, თუ ჩვენს ახალგაზრდობასთან დამოკიდებულებაში, მათი სულიერი ფორმირების პროცესებში მონაწილეობისას დიდ სიფრთხილესა და გონიერებას არ გამოვიჩენთ, ყმაწვილებს შეიძლება სქესობრივი ლოთობისაკენ ვუბიძგოთ (ონანიზმისაკენ), რაც ისევე მავნებელია მოზარდის სულისა და სხეულისათვის, როგორც ნარკომანია. ამ საქმეში კი განსაკუთრებული როლი ენიჭება ტელევიზიასა და მასმედიის სხვა საშუალებებს. დააკვირდით **"რუსთავი-2"**-ის ტელეგადაცემებს (ტელეარხ **"იმედზე"** არაფერს ვამბობ, რომლის **"შორენას ღამეებმა"** სიბილწის ყველა რეკორდი მოხსნა), თუნდაც **"ღამის შოუს"**, სადაც შიშველტიტველი გოგონები ისეთი რაკურსით არიან წარმოჩენილი, რომ ლამის საშვილოსნოები გამოუჩნდეთ. ბუნებრივია, ამ სურათის მხილველ ყმაწვილ კაცს სექსისადმი ლტოლვა მოეძალება, მაგრამ სათანადო სახსრების უქონლობის გამო, მისთვის ხელსაყრელი სექსუალური პარტნიორის ძიებაში შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდეს და ახლობელ ადამიანს დაადგას თვალი.

მით უმეტეს, თუ მას წინა დღით წაკითხული ექნება ერეკლე დეისაძისთანა **"მწერლის"** მიერ დაწერილი წიგნი, სადაც საკუთარი დედა მეძავად და კახპადაა წარმოჩენილი, რა გასაკვირია, რომ გზაარეულმა ახალგაზრდამ სულაც არ ჩათვალოს მძიმე დანაშაულად ახლობელ ადამიანთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

ფუი ეშმაკს და ყველა ამ სიბოროტის მთესავს, იქნება ეს ტელეარხი **"რუსთავი-2"**, **"იმედი"** თუ დეისაძე და სხვა მისნაირი სულიერად გადაგვარებული!

განა ეს ყველაფერი საქართველოს არაქართული ხელისუფლების რუპორად ქცეული ავადსახსენებელი **"თავისუფლების ინსტიტუტის"** ხელდასხმით არ ხდება, რომლის ჭინკადქცეული წარმომადგენლები რამიშვილ-თუთბერიძეები დაუნდობლად ებრძვიან მართლმადიდებლურ ეკლესიას, ქალწულობის ინსტიტუტს და სხვა მრავალ ტრადიციულ სიწმინდეს?

როგორ დავიჯერო, რომ მათ ოჯახებში დაუნანებლად ამყარებენ ერთმანეთთან სექსუალურ კავშირს დედა-შვილები, მამაშვილები თუ და-ძმები? და თუ ეს ასე არ არის, რატომ არ აიმაღლებენ ხმას ამგვარი უმსგავსოებების წინააღმდეგ და რატომ იბრძვიან თბილისში **"გეი-აღლუმის"** ჩასატარებლად?

რა, მათი აღვირახსნილი პროპაგანდის შემდეგ მოძალებული ჩვენი კესო-მამათმავლები არ გვყოფნის, ეს გადაგვარებულები ჰოლანდიიდან და ინგლისიდან რომ არ ჩამოვიყვანოთ?

დეისაძე წარმოშობით ქუთაისელია (ნეტამც იქ დარჩენილიყო), მაგრამ დეისაძის სინდრომი სულაც არ გახლავთ მხოლოდ ქუთაისელთა სავაგლახო და თავში საცემი, რადგან ასეთი დეისაძეები არამც თუ მორალურ, არამედ ხორციელ ფურუნკულებად არიან ქცეული და ისინი სწრაფად უნდა იქნენ მოკვეთილი, რათა მთელი სხეული არ გაიწიროს სასიკვდილოდ.

სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს ჩვენი მკითხველისათვის ალენ დალესის დოქტრინის ტექსტის შეხსენება, რომელსაც **"წარმატებით"** ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში გადაგვარებული და დოლარს გამოდევნებული არაკეთილსინდისიერი ქართველებისავე ხელით, ვიღაც გადამთიელი, მილიარდერი ურია ჯორჯ სოროსი.

**„ჩვენ მთელს ჩვენს მატერიალურ ძლიერებას, ოქროს გამოვიყენებთ ადამიანთა გამოსათაყვანებლად, ჩვენ შევქმნით ქაოსს, შეუმჩევნლად, ნაწილ-ნაწილ შევცვლით ნამდვილ, ჭეშმარიტ ღირებულებებს ყალბით და ვაიძულებთ მათ იწამონ ისინი. როგორ? ჩვენ ვიპოვით თანამოაზრეებს სხვა ქვეყნებში. ერთი მეორის მიყოლებით ეპიზოდურად განხორციელდება მასშტაბური ტრაგედიები ყველაზე ურჩი ხალხების დამხობის და მათი თვითშეგნების საბოლოოდ მოსპობისათვის.**

**ლიტერატურა, თეატრი, კინო იქნება ადამიანის ყველაზე მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი. ჩვენ ყველანაირად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ იმ ეგრეთწოდებულ ხელოვანთ და მხატვრებს, რომლებიც დანერგავენ ადამიანთა შეგნებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტს, ერთი სიტყვით – ყველაფერ ამორალურს.**

**შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას და უპრინციპობას. ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე, მხოლოდ ზოგიერთები გაიგებენ კიდეც, თუ რა ხდება. მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით. მოვახერხებთ, რომ ცილი დასწამონ მათ, ვიბრძოლებთ ადამიანთა გასარყვნელად, ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გაკეთდება არჩევანი ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავწვრთნათ ისინი. ახალგაზრდებისაგან შევქმნით კოსმოპოლიტებს, ჯაშუშებს".**

სხვა რა არის სატანისადმი სამსახური?

და ამ უბედურებას მილიონებს ახმარს უნგრეთიდან ამერიკაში გადათესლილი სოროსი, რომელსაც ვითომ დიდად ანაღვლებს ქართველების ბედი. თუ ასეთი ალტრუისტია ეს სატანის მოციქული, მაშინ იქნებ იმ შიმშილის ზღვარზე მყოფ უნგრელებს დახმარებოდა, რომელთა წიაღშიც თავად აღიზარდა. მაგრამ მის მთავარ მიზანს მართლმადიდებლობის განადგურება წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთ მძლავრ ფორპოსტად დღევანდელ მსოფლიოში სწორედ საქართველოა აღიარებული. აი, ამ ვერაგულ საქმეს ახმარს ზღაპრულ თანხებს ამერიკელი ურია სოროსი, რადგან მან კარგად იცის, რომ იქ, სადაც არ არის მართლმადიდებლობა, არის მხოლოდ ლესბოსელობა და ჰომოსექსუალიზმი, არის ერთსქესოვანი ქორწინება და მისი მუდმივი თანამგზავრი, ღმრთისაგან მოვლენილი სასჯელი – შიდსი, არის სოდომიზმი, არის ინცესტი და ყოველგვარი სულიერი თუ ხორციელი რყვნა...

ყმაწვილების სულის მოსაწამლად, ხელისუფლების არამც თუ წაყრუებით, არამედ წახალისებით, დიდი ტირაჟით იქნა გამოცემული ასევე ურია ქალბატონის **ჯოან როულინგის** ავტორობით შექმნილი უსაზიზღრესი ნაწარმოები **"ჰარი პოტერი"**, რომელიც მართლმადიდებლური მსოფლიოს მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. წიგნის მთავარი გმირი თავის ერთ-ერთ ბიძაშვილს დაუძინებელ მტრად მიიჩნევს იმიტომ, რომ იგი საკუთარი დეიდაშვილის მოცილეა, არა როგორც ნათესაურ სიყვარულში, არამედ მხოლოდ სექსუალურ ურთიერთობაში!

მართლმადიდებლობა კი მხოლოდ ერთი ნათესაური შტოს მეშვიდე თაობას აძლევს ცოლ-ქმრულად შეერთების უფლებას. ეს კი არ შედის მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე მასონთა სამოქმედო გეგმებში და ამიტომაც დღემუდამ გვატენიან ცხვირში ჰარი პოტერებს, შორენა ბეგაშვილებს, ნანკა კალატოზიშვილებს და სხვა **"ტურფა"** ქალებსა თუ კაცებად წოდებულ არც მთლად წმინდა სულის მქონე არსებებს...

იქამც ჰქონიათ, ჩვენ კი თავი გაგვანებონ!

სამწუხაროა, რომ ამ ვერაგულ პროგრამას დღეს მთელი მონდომებით ნერგავს საქართველოში სომხური ხელისუფლება! უფრო მეტად სამწუხარო კი ის არის, რომ ქართველი ხალხი ამას ან ვერ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს.

ჩვენთვის ორივე დამღუპველია!

ჩვენი საპროტესტო ხმა ჯერჯერობით იკარგება ხელისუფლების რიხიანი განცხადებების ფონზე – სახლებს და გზებს ვაშენებთო!

ასეა, სახლები და გზები შენდება, მაგრამ ინგრევა უმთავრესი – ქართული მრწამსი, რელიგიურობა, მორალი და ზნეობა. ნამდვილად შენდება საბავშვო სპორტული მოედნები, მაგრამ სულისგამრყვნელი ტელეგადაცემების მოძალების შემთხვევაში მოზარდი რომ ტელეეკრანს მიეჯაჭვება და სპორტულ მოედანზე არ დაწვავს მოძალებულ ენერგიას, ესეც ფაქტია.

ეს იმას წააგავს, ერთი ხელით სამკურნალო წამალი რომ მიაწოდო შეუძლოდ მყოფ ადამიანს, მეორე ხელით კი მომაკვდინებელი საწამლავი...

ისიც არ არის სადავო, რომ დანგრეული სახლის აშენებას, ან ახალი გზების გაყვანას შეიძლება თვეები ან თუნდაც წლები ეყოს, დანგრეული სულიერების აღსადგენად ხშირად ათწლეულებიც არ არის საკმარისი.

არც თუ იშვიათად, ამგვარი პროცესები საერთოდ არ ექვემდებარებიან აღდგენას!

ამაზე თუ ვფიქრობთ, რომ თუ ჩვენი რელიგიურობა, მორალი და ზნეობა მოკვდა, ქართველი ერიც გადაშენდება და მერე ვის დარჩება ჩვენი მოსომხო ხელისუფლების მიერ აშენებული სახლები, პარკები და გზები?

ვფიქრობთ, ამ წერილით საკადრისი პასუხი გავეცით სათაურში დასმულ საკრალურ შეკითხვას: **ჭირო, საიდან მოდიხარ?..**

**როლანდ ჯალაღანია,**
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

## ციტატა-შეხსენება

"...ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ოჯახის ფუნქციის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ამერიკული გაგება... ამერიკელებს ოჯახურ ურთიერთობათა საფუძველშიც კი ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი უდევთ. კარგია ეს თუ ცუდი? მათთვის კარგიცაა და სწორიც. მაგრამ ქართველებისათვის ნამდვილად მიუღებელია. სწორედ გამიგეთ: იმიტომ კი არა, რომ ისინი ცუდები არიან, ჩვენ კი – კარგები, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვანი არიან. და ბოლოს, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ დასავლური მასობრივი კულტურა, რომელიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურულ ღირებულებებს უკვე დღეს განდევნის და სპობს. დასავლური კულტურის ექსპანსიის კიდევ რამდენიმე წელი და ქართველთა კულტურული გადაგვარების პროცესი შეუქცევადი გახდება. დღეს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ევროპელი ხალხები – ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, ცდილობენ რა შეინარჩუნონ საკუთარი ტრადიციები და ეროვნული თვითმყოფადობა, აქტიურად, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ, ებრძვიან ამერიკული კულტურის მასობრივ გავრცელებას, ჩვენ კი "დასავლურ სამყაროსთან ერთობის" ლოზუნგით ინტენსიურად ვნერგავთ ამ დამღუპველ კულტურულ სუროგატს..."

**ალექსანდრე ჭაჭია,**
**1997 წლის ივნისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წლები, რომლის გვახსენებს სოხუმს...

*(კონსტანტინე ოზგანის ქართული სახსოვარი)*

***სიყრმის წლებსა და ქალაქთან – სოხუმთან მიახლოების გარდა კურსდამთავრებულებთან შეხვედრას ქვეტექსტიც ჰქონდა: კარგა ხანია აფიქრებთ მათ გამოშვების ფოტოზე აღბეჭდილი ერთი "არაჯგუფელი", რომლისგან დრომ... მტრის ხატი ვერ გამოძერწა.***



...სტუდენტობის წლები! ერთმანეთისთვის ჯერაც შეუცნობელთა სულის ეტრატი გულდადინჯებით იწერს და იმახსოვრებს იმ წლების სიმძაფრითა და ადეკვატურობით აღთქმულს, ინიშნავს იმას, რაც არ უნდა დაიკარგოს. ერთმანეთის მეხსიერებასა და გულებში ღრმად ჩარჩენილებს ცხოვრება აშორიშორებს, მაგრამ ყოველი ახალი შეხვედრისას პაუზები ქრება და ურთიერთობები იმავე წერტილიდან გრძელდება.

ის დღე ერთგვარი გადასახედიც გახლდათ საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის 1962-1967 წლების კურსდამთავრებულთათვის, დღე, როდესაც გარდასული დღეების **"ჭოგრიტით"** ახლოს მოყვანას შეეცადნენ. იმ მონაკვეთში ერთდროულად მოექცა წარსულიც და აწმყოც, ყრმობა, მოწიფულობა და სიბრძნეშეპარული წლებიც. ეძებდნენ ერთმანეთში იმ წლების **"გოგოებსა"** და **"ბიჭებს"** და პოულობდნენ კიდეც, ერთმანეთისათვის სიყრმის სახეებით დარჩენილნი, თითქოს ტკივილამდე ნაცნობ, მთისა და ზღვის სურნელით შეზავებულ სოხუმურ ლბილ ჰაერს ჩაისუნთქავდნენ... სადგურ კელასურში ჩერდებოდა მაშინ პირველი მატარებელი... სუბტროპიკული ინსტიტუტის ფერხთით...

**"მთავარი ფოტო"**, რომელსაც შემდეგი მთავარი სათქმელიც მოჰყვა, იმ წლებისათვის სტანდარტული, პროფესორ-მასწავლებლებისა და კურსდამთავრებულების ჩვეულებრივი შავ-თეთრი ფოტო იყო, რომელიც მათ გარდა, ერთი **"არაჯგუფელიც"** იყო აღბეჭდილი. ფოტოზე მინაწერი ასე იკითხება: კ. ოზგანი.

### ვისი იყო აფხაზეთი?

ისინი ერთი ფაკულტეტის, ერთი კურსის, ქართული და რუსული სექტორის სტუდენტები იყვნენ.

ქართულმა ჯგუფმა მისაღები გამოცდებიდან დაიმახსოვრა ჯარიდან დემობილიზებული, სამხედრო ფორმიანი ლურჯთვალება აფხაზი, რომელიც შემდეგ ჯგუფხელად აირჩიეს.

ქართული ჯგუფის ბიჭებმა და გოგონებმა ერთნაირად შეიყვარეს მეგობრული კოსტია ოზგანი (ასე ეძახიან, სიყვარულით, დღესაც).

დამამთავრებელი კურსის სტუდენტები იყვნენ, როდესაც აფხაზეთში მდგომარეობა დაიძაბა. ქართველმა თანაკურსელმა ვაჟებმა სთხოვეს კოსტიას, ყველაფერი ეღონა იმისათვის, რომ ანტიქართული მოძრაობის ტალღას ინსტიტუტამდე არ მოეღწია. ლიდერის თვისებების მქონე კოსტია ოზგანმა მაშინ ეს შეძლო. მაშინდელი დაძაბულობის თავიდან აცილებას თანაკურსელები დღესაც მის დამსახურებად თვლიან.

წლების შემდეგ აფხაზეთის ფეთქებადსაშიშ მიწას კვლავ გადაუარა ანტიქართული მოძრაობის ტალღამ. მოვლენების ეპიცენტრი გუდაუთა, კერძოდ – ლიხნი, გუდაუთის რაიკომის მდივანი კი... კონსტანტინე ოზგანი იყო!!!

გაყალბებული ისტორიით ნაკვებმა ცნობიერებამ საომარი განწყობა შვა. ორივე მხარე საკუთარი სიმართლის, საკუთარი მიწის დასაცავად ემზადებოდა. სინამდვილეში ვინ იყო მართალი? ვისი იყო აფხაზეთი? ვინ იყვნენ **"აბორიგენები"** და ვინ **"მთიდან ჩამოსახლებულები"**? ომი ამისათვის გახდა საჭირო. ომის დაწყების თითქოს არავის ეშინოდა. ამისთვის იწირებოდა ყველაფერი, მათ შორის, ყველაზე მთავარი – ეროვნული იდეა. ხალხს გულწრფელად სჯეროდა, რომ ქუჩაში ეროვნული იდეის დასაცავად იყო გამოსული. ანტიქართული მოძრაობის ახალი ტალღა 15-16 ივლისის ტრაგედიით დამთავრდა, მაშინ ვერავინ გაიფიქრებდა, რომ ეს სისხლიანი თარიღი ძმათამკვლელი ომის წინადღე გახლდათ.

ქართველი თანაკურსელები მაშინ ბარიკადების ერთ მხარეს იდგნენ, კონსტანტინე ოზგანი კი – მეორე მხარეს. სიყრმის მეგობრებს ერთმანეთთან შეხვედრის სურვილი აღარ ჰქონდათ.

**ჯამბულ გრიგოლია**: ლიხნში, ქორწილში შევხვდით ერთმანეთს ლიხნის საბედისწერო ამბებიდან კარგა ხნის შემდეგ. მიხვდა, რომ თვალს ვარიდებდი. თავად მოვიდა ჩემთან და იმ სუფრაზე მიმიპატიჟა, სადაც მისი მეგობრები ისხდნენ. იმ წლების სიყვარულით მომეფერა და დაძაბულობაც სადღაც გაქრა. გააფხაზებულ ქართველებს ვერა ჰგუობდა და ამას არც მალავდა. მე ასე წარმადგინა მეგობრების წინაშე: **"Он настоящий сенакский"**. ამით ხაზს უსვამდა რენეგატობის მანკიერ მხარეს. მჯერა, კოსტია ოზგანი დღესაც მკერდით აეფარება სიყრმის მეგობრებისაკენ ნასროლ ტყვიას, მაგრამ რაღაცის პატიება, ალბათ, ორივე მხარეს დაგვჭირდება...

**ნოდარ მჟავია**: კოსტია გუდაუთის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა, მე – ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში და ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. კავკასიური ადათ-წესებით აღზრდილს, ურთიერთობებში არაფერი ეშლებოდა. ლიხნის ამბების შემდეგ მე მას აღარ შევხვედრივარ და ეს ძალიან მაწუხებს...

**ლენა გაბელია, ქეთინო ჩიტალაძე** – ქართულ ჯგუფთან ერთად ფოტოზე აღბეჭდვა კოსტიასაგან კეთილი ჟესტის გამოვლინება იყო. ამით სითბო და სიყვარული გვაჩუქა, რომელიც წლების შემდეგაც გვათბობს. ჩვენს შორის კავშირი უნდა აღსდგეს, ის რაც წლებმა ფასეულობად აქცია, არ უნდა დაიკარგოს. ამ ფოტოთი სამომავლო ხიდი უნდა გაიდოს...

### დიალოგებით გაცოცხლებული წარსული

...გვიან შენიშნეს თანაკურსელებმა, რომ ჯგუფხელი ჯამბულ გრიგოლია, ფოტოზე, თანაკურსელ ნინელი ცხაკაიას გვერდით ფიქსირდებოდა. ეტრფოდა თურმე! დამამთავრებელ კურსზე დაქორწინდნენ და იმ წლების სიყვარულით მოდიან დღემდე.

...ქუთაისელმა დავით ნიჟარაძემ 1962 წლის პირველი და ლექტორ-მასწავლებლის ალეკო მიქაძის ხუმრობით ნათქვამი გაიხსენა: მარტო ვინ გამოგიშვა, დედათან რატომ არ გამოგყვაო? ინსტიტუტის აუდიტორიიდან სამხედრო სამსახურში გადაინაცვლა და იქიდან დაბრუნებულმა მესამე კურსიდან სხვა ჯგუფთან ერთად გააგრძელა სწავლა. ამ კურსზე დახვდა მშვენიერი ნათელა ჭავჭანიძე, რომლის სიყვარული გულში ჩაიდო და მისი მოტაცება განიზრახა. აფხაზმა მეგობრებმა ედიკ აჩბამ და გია ლაკობამ ოცნება რეალობად უქციეს.

...სტუდენტობის წლებში საუკეთესო მონაკვეთად რჩებოდა სასწავლო პრაქტიკის წლები, რომლებიც მათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მის ფარგლებს გარეთაც განვლეს. იხსენებდნენ ორსაათიან სატელეფონო საუბრად ქცეულ 5-წუთიან შეკვეთებს და ბიჭების მიერ გაღებულ უკანასკნელ კაპიკებს იმისათვის, რომ... შეყვარებული მაგული ნუცუბიძეს თავის გულისსწორთან ესაუბრა.

შემდეგ იყო ომი და ჭურვის ნამსხვრევებივით უცხო გზებსა და კუთხე-ქალაქებში გაფანტული ერთი მიწის შვილები. მათი სიყრმის ქალაქი, სოხუმი, დიოსკურიასავით სიძულვილის ზღვაში ჩაიძირა. როგორც ენგურსგამოღმა მცხოვრები თანაკურსელები აღნიშნავდნენ, ეს ყველაზე დიდი ტრაგედია იყო მათ ცხოვრებაში. გაუბედურებული ჯგუფელების ხილვა – მართლაც საზარელი კადრი, რომლის მსგავსი არაფერი უნახავთ...

გახსოვს?! – რეფრენად გასდევდა მთელ საღამოს. ხანგრძლივი განშორების შემდეგ თანაკურსელებს: სვეტლანა წარიას, გულნარა ნადარაიას, ციალა ნაყოფიას, ნათელა ფარქოსაძეს, ნუნუ ცერცვაძეს, ლუარა იმნაძეს, ნუნუ ტოტოჩავას, ნუკრი იობიძეს, ირა სულაბერიძეს, ლაურა კაკაურიძეს, ომარ ქვილითაიას, ჯემალ კუჭუხიძეს, ჯენეტი ნაჭყებიას და სხვებს მოსაგონარი ბევრი ჰქონდათ და რაც მთავარია, ყველას, ყველაფერი ახსოვდა.

X X X

აფხაზეთის ომის თანამედროვეთა მეხსიერება ვერასოდეს წაშლის ამ ომის ხსოვნას. ომი ძალზე მძიმე შედეგებით – გენოციდით, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება: **"ის, ვინც უბიხები გააქრო სამყაროდან, ახლა აფხაზეთს "ეპატრონება" და აფხაზ ეთნოსს გაქრობით ემუქრება. ომით ერთნაირად გაუბედურდა აფხაზი და ქართველი ხალხი. ჩახედეთ მათ ცრემლშეუმშრალ თვალებში და ადვილად ამოიკითხავთ რომ აღარაფერიახარებთ... სისხლითა და დედის რძით დაკავშირებულმა ხალხმა სამკვიდრო დაკარგა და მას შემდეგ ვერსად იპოვა შვება. სიყრმის წლების მეგობრობა ის რესურსია, რომელზეც მშვიდობა უნდა დაეშენოს. მავთულხლართებით შემოსაზღვრულ აფხაზეთში ხელოვნური ჯებირების გარღვევასაც შესძლებს სიყვარული, რომლის აღსადგენი გზები უნდა მოინახოს"** – ეს ერთ-ერთი კურსდამთავრებულის ანატოლი ლემონჯავას სურვილია, რომელსაც ყველა უსიტყვოდ იზიარებს.

გზა აფხაზეთისაკენ. აფხაზი მეგობრების შემორიგებაზეც გადის. მხოლოდ შერიგებით შეძლებენ ქართველები და აფხაზები რაღაცის დავიწყებას, რაღაცაზე თვალის დახუჭვას, რაღაცის პატიებას და თანაცხოვრების აღდგენას. შეძლებენ, თუკი მოინდომებენ.

**სვეტლანა კვიკვინია**

---

## ოჰაიოში სიკვდილით დასჯა აღდგება

აშშ-ის ფედერაციულმა სააპელაციო სასამართლომ შტატ ოჰაიოს მთავრობას ნება დართო, განაახლოს სასიკვდილო განაჩენების აღსრულება. სექტემბერში გუბერნატორმა ტედ სტრიკლენდმა და ფედერალურმა მოსამართლეებმა რამდენიმე დასჯა გადადეს იმის გამო, რომ მკვლელ რომელ ბრუმის მიმართ განაჩენის აღსრულება უშედეგოდ დასრულდა. სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება განახლდება სასიკვდილო ინექციის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

14 წლის გოგონას მკვლელობისთვის გასამართლებული ბრუმის განაჩენის აღმსრულებლებმა კარგა ხანს ვერ იპოვეს მის სხეულზე ინექციისთვის შესაფერისი ადგილი. ამის გამო პროცედურას **„სასტიკი და უჩვეულო"**, შესაბამისად, ანტიკონსტიტუციური ეწოდა. პროცედურის შეცვლის ფარგლები სასიკვდილო ინექციის სახით სამი პრეპარატის ნაცვლად გამოიყენება მხოლოდ ერთი, ოღონდ დიდი დოზით. ნატრიუმის ტრიოპენტალი აქამდე ცხოველების დასაძინებლად გამოიყენებოდა, ადამიანების მოსაკლავად მას აქამდე მხოლოდ სხვა პრეპარატთან ერთად იყენებდნენ. დაზღვევის მიზნით გაკეთდება კიდე ორი მედიკამენტის ინექცია.

## გერმანიის ფოლადსასხმელი კორპორაცია 20 ათას თანამშრომელს ამცირებს

აღმასრულებელი დირექტორის ეკენჰარდ შულცის განცხადებით, ფოლადსასხმელი კორპორაცია **„Thyssen Krupp"** მთელი მსოფლიოს მასშტაბით 20 ათასამდე თანამშრომელს შეამცირებს. მისივე თქმით, 2009 წლის 30 სექტემბერს კონცერნის შტატი 187 ათას თანამშრომელს მოიცავდა, მიმდინარე ფინანსური წლის დასასრულისთვის (რომელიც 2010 წლის 30 სექტემბერს მთავრდება), კომპანიაში დაახლოებით 167 ათასი თანამშრომელი დარჩება. ამის მიზეზი კრიზისის პერიოდებში დანახარჯების შემცირებაა. ახლახან კომპანიამ 2008-2009 ფინანსური წლის განმავლობაში რეკორდული დანახარჯის 2,36 მილიარდი ევროს შესახებ განაცხადა.

ევროკავშირის უმსხვილესი ეკონომიკის მქონე გერმანიის ხელისუფლება 2009 წელს საერთო შიდა პროდუქტის 5%-ით შემცირებას, 2010 წელს კი 1,2%-ით გაზრდას ელოოდება. ბოლო ორი კვარტლის მაჩვენებლებით ითვლება, რომ გერმანია უკვე გამოვიდა რეცესიიდან.

## საფრანგეთი „სამხრეთ ნაკადს" შეუერთდა

ფრანგული სახელმწიფო კომპანია **„Electricite de France~(EdF)** გაზსადენ **„სამხრეთ ნაკადის"** მშენებლობის პროექტს შეუერთდა. ამის თაობაზე პარიზში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. აქამდე პროექტი პარიტეტულ საწყისებზე **„გაზპრომსა"** და იტალიურ **„ენი"**-ს ეკუთვნოდა. საფრანგეთის ჩართვა, სავარაუდოდ, იტალიური წილის შემცირების ხარჯზე მოხდება. თავდაპირველად მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია **„EdF"**-ი, **„სამხრეთ ნაკადის"** მთავარი კონკურენტი, პროექტ ნაბუკოში (შუააზიური გაზით ევროპის უზრუნველყოფა რუსეთის გვერდის ავლით) აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ამ პროექტის აქციონერებმა გერმანული **„RWE"** ამჯობინეს.

47-63 მილიარდი კუბური მეტრი გაზის სიმძლავრის **„სამხრეთ ნაკადის"** დასრულებას **„გაზპრომი"** 2013 წლისთვის გეგმავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო მოძრაობა სამეგრელოს განცხადება

ემზადება რა მოძრაობის მეექვსე ყრილობის ჩასატარებლად, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** აცხადებს, რომ საქართველო უკვე კოლაფსის მდგომარეობაში იმყოფება და თუ დროზე არ იქნა მიღებული ქმედითი ზომები, მალე რეალური საფრთხე შეექმნება ჩვენს სახელმწიფოებრიობას!

მრავალგზის დადასტურდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე ნულის ტოლია. თვით ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის დაბალი დონის წარმომადგენლებიც კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავლენიან პირებს ხვდებიან თეთრ სახლში. მიხეილ სააკაშვილი კი **აშშ**-ში სამკვირიანი ვიზიტის დროს, დიდი მცდელობის მიუხედავად, როგორც ცნობილია, ვერც ერთ მათგანს ვერ შეხვდა. სწორედ სააკაშვილისათვის ამგვარი ხშირი სამარცხვინო ამბების მიჩქმალვას ემსახურება ძეგლების მიპარვით, ქურდულად აღება და მთავრობის წევრთა მორიგი აბსურდული **"კარუსელი"**, რასაც სასიკეთო არაფერი მოაქვს არც ქვეყნისა და არც ხალხისათვის.

**"ნაციონალებს"** და მათ **"ბელადს"** მიაჩნიათ, რომ გორში და ტყიბულში სტალინის ძეგლის აღებით ქვეყანა საბჭოთა მენტალიტეტს დაემშვიდობა, ფაქტიურად კი **"ნაციონალები"** და მათი ბელადი სააკიანი მუდმივად ძველი კერპების მსხვრევისა და ახალი კერპის შექმნის პროცესში იმყოფებიან. სტალინის ძეგლის აღების კონტექსტი დაახლოვებით იგივეა, რაც დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში **"გასეირნება"** იყო. ავტორიტეტებს ებრძვიან, და არა მხოლოდ წარსულისას, ეს არის და ეს. ჩვენ ჩვენი თანამედროვე ავტორიტეტებთან ბრძოლის მოწმენიც ვართ – გავიხსენოთ საქართველოს პატრიარქი (რომელსაც **"კმარას"** სატანასთან წილნაყარი **"ბელადი"**, მართლაც სატანის სახისა და ქცევების მქონე თეა თუთბერიძე როგორ აბრალებდა საჯაროდ უწმინდესსა და უნეტარესს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტობას), პაატა ბურჭულაძე, რომელმაც ანგარიში არ გაუწია პოლიტიკურ დაპირისპირებებს და მოსკოვში გამართულ გალა-კონცერტში მიიღო მინაწილეობა, **"ჩარეცხილი"** მეცნიერები და სხვა, რომელი ერთი გავიხსენოთ... ჭკუაშემსუბუქებული ხელისუფლება ფიქრობს, ახალი კერპების დრო მოვიდაო და ძველების ადგილას ახალი კერპების დამკვიდრება უნდა!

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა ევროპის განვითარებული ქვეყნებიც კი კადრებისა და სტრუქტურების ოპტიმიზაციას ახდენენ, სააკაშვილი და მისი გარემოცვა ახალ სამინისტროს ქმნის. მიხეილ სააკაშვილს საშუალო და უფროსი ასაკის ხალხზე ზემოქმედების ბერკეტი არ გააჩნია და რასაც ახერხებს, ახალგაზრდობის ცნობიერების მანიპულირებაა, ძირითადად მათი **"ბუჩქებისაკენ"** ორიენტირების გზით. ჰგონიათ, ამ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს სრულყოფილად ფლობენ და მათი იდეოლოგიზება და სასურველი მიმართულებით წარმართვაც შეუძლიათ. როგორც ჩანს, ამ ყველაფრის საერთო სისტემაში მოქცევა გადაწყვიტეს და შექმნეს კიდეც შესაბამისი სამინისტრო, რომელსაც, ფაქტობრივად, ახალგაზრდობის ტვინების გამორეცხვის სამინისტროც შეიძლება ვუწოდოთ. სააკიანს და მის სომხურ ხელისუფლებას უნდათ პროპაგანდისტულ წნეხში მოაქციონ ახალგაზრდები და ამიტომაც შექმნეს შესაბამისი სტატუსის მქონე სახელმწიფო ორგანიზაცია **– საბჭოთა კავშირში ამას კომკავშირი ერქვა.** თუმცა, კომკავშირი პარტიული სტრუქტურა იყო. რაკიღა საქართველოს სინამდვილეში აღმასრულებელი მთავრობა და პარტია ერთსა და იმავეს ნიშნავს (მაფია განა სხვა რამეა?), სტრუქტურული ცვლილებაც შესაბამისია – იდეოლოგიურ მანქანას მთავრობაში მიუჩინეს ადგილი, ნაცვლად იმისა, პარტიის ახალგაზრდული ფრთა გაეძლიერებინათ. ასე უფრო გაიოლდება ფინანსების მართვაც, იდეოლოგიური მიზნებით ფულის წინ და უკან **"სეირნობა"** აღარ დასჭირდებათ და პირდაპირ ბიუჯეტის თანხებით ისარგებლებენ.

ხელისუფლება შეგნებულად ძაბავს დამოკიდებულებას რუსეთთან და ამას გარკვეული მზაკვრული მიზანი გააჩნია. რუსეთში სამუშაოდ წასული ქართველებიდან ძალიან ბევრი წარმატებული ბიზნესმენია, რაც თავისთავად მეტყველებს რუსეთის ხელისუფლების ყურადღებასა და ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე ქართველი ხიზნებისადმი. აქ მყოფ ქართველთა უმეტესობა პატიოსანი გარჯით იმდენ თანხას შოულობს, რომ ოჯახიც არჩინოს და საქართველოშიც ბევრს გაუმართოს ხელი. ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს სომხური ხელისუფლების და მისი თავკაცის მიხეილ სააკიანის გეგმებს, რაც საქართველოს ქართველებისაგან დაცლას ითვალისწინებს. შენგენის ქვეყნების ვიზა რომ აიღონ, ისედაც სიღარიბის ზღვარზე მყოფი ქართველები იძულებული არიან მამაპაპისეული სახლი და მთელი ქონება გაჰყიდონ, რითაც ისინი სამუდამოდ იკვეთენ ფეხს სამშობლოდან. გამორიცხულია მათ უცხო გარემოში იმდენი ფული იშოვნონ, რომ საქართველოში საცხოვრებელი აღიდგინონ, და რომც იშოვნონ, საქართველოში დაბრუნებაზე მაინც უარს იტყვიან, რადგან აქ ისინი განწირული იქნებიან უმუშევრობისათვის. ასე, თანდათან იცლება ქართული სოფლები და ქალაქები, უკვე მგლები ყმუიან მათ ნაფუძვარებზე, ბალახმა დაფარა მათი ნატერფალები!..

ამიტომ არ უნდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოაწესრიგოს და დაუსრულებლად მოუსავლეთში ერეკებიან ქართველებს. და ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს უცხოეთად არ მიიჩნევს ხოლმე და ხშირად ამბობენ – ჩემი ერთი შვილი რუსეთშია, ორნი კი საზღვარგარეთ არიანო.

საქართველოში ეკონომიკა აღარ არსებობს, გაჩერებულია ფაბრიკა-ქარხნები, გაუვალ ბუჩქნარადაა ქცეული ერთ დროს წალკოტი ჩაის პლანტაციები. ქვეყანას საბოლოოდ გადაუწურეს მომავლის იმედი მხოლოდ როყიო საარჩევნო ლოზუნგების შემოქმედმა ნაციონალებმა...

ვერაფერი შესძინა დასაღუპად განწირული საქართველოს გადარჩენის საქმეს ობამა-მედვედევის შეხვედრამ! საგულისხმოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება მხოლოდ ერთ სიტყვაზე – **"ოკუპაციაზე"** გაამახვილა. ეს აჟიოტაჟი იმიტომ ატყდა, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემებიდან გადაეტანათ საზოგადოების ყურადღება. ამ შეხვედრაზე კი ობამამ ერთი ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანი რამ თქვა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე – პრაქტიკულად, პრობლემების 99 პროცენტი გადაწყვეტილია და მხოლოდ ერთი პროცენტიღაა დარჩენილიო! ფაქტობრივად მან მედვედევს პირობა მისცა, რომ სექტემბრისათვის რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება. ანუ, ჩვენ, მთელ საქართველოს, ამერიკის შიდა პოლიტიკაში ერთი პროცენტის რაღაც ნაწილი გვერგო. გარდა ამისა, იყო ბევრი ჩვენთვის ალბათ შემაშფოთებელი გზავნილიც, – ალბათ, შენიშნავდით, როგორი იყო თვით ამ შეხვედრის დონე, ლიდერთა ურთიერთგანწყობილება და სხვა. ბუნებრივია, ამაზე მსჯელობა თბილისში ხელს არ აძლევდათ და საზოგადოების ყურადღება სტალინის ძეგლისადმი ვანდალურ ანგარისწორებაზე გადაიტანეს, რაც გამოუვიდათ კიდეც...

მთელი ეს სპექტაკლი მხოლოდ იმისთვის დაიდგა, რომ ზემოთნახსენები მოვლენები მიეჩქმალათ!

ერთადერთი, რის გამოც ხელისუფლებამ აღტაცება გამოხატა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო სიტყვა **"ოკუპაცია"**, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი ყველაფერში მთლად შეხმატკბილებულები ვერ არიან, მაგრამ ეს რომ ჩვენთვის არაფერი სიკეთის მომტანი არ არის, ესეც ფაქტია! მაგრამ, მეორე მხრივ, მედვედევის ვიზიტს ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რუსეთი და ამერიკა ინტენსიურად თანამშრომლობენ, ხოლო საქართველოს თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არ არის ხელის შემშლელი ფაქტორი გლობალური უსაფრთხოების თემებზე სამუშაოდ. მათ იმდენი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა აქვთ მოსაგვარებელი, რომ საქართველო მთავარი საკითხი აღარ არის. აქედან გამომდინარე, ხმაური ერთი სიტყვის გამო მხოლოდ ქართველი საზოგადოების დაბნევის საქმეს ემსახურება.

სრულად იგნორირებულია სახალხო დიპლომატია – ხელისუფლების ჯიბის ტელეარხები განუწყვეტლივ საუბრობენ ძმათამკვლელ ომში აფხაზების მიერ ჩადენილ მხეცობებზე, თითქოს საქართველოს სახელისუფლებო ბანდფორმირებები ნაკლები სისასტიკით მოქმედებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე როგორც აფხაზი, ასევე ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ.

თანდათან უფრო გვაშორებს ეს ხელისუფლება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების იმედს და ესეც გარკვეული სახელისუფლებო მზაკვრული გეგმის ნაწილია. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა რომ გადაწყდეს, რომლის სურვილი აშკარად იგრძნობა რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც კი, მაშინ საქართველოს ხელისუფლება დაჰკარგავს დევნილებისათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ მილიონობით დოლარის მითვისების საშუალებას!

აღარაფერს ვამბობთ ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე და იმ დამღუპველ პროცესებზე, რომელიც საბოლოოდ შლის და ანადგურებს ისედაც არარსებულ ეკონომიკას!

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს არაქართულ ხელისუფლებას და მოუწოდებს ქართველ ხალხს – ნუთუ ყოველივე ეს არ კმარა საიმისოდ, რომ საქართველომ ზურგი შეაქციოს ჩვენი ერის მოღალატე მზაკვარ არაქართულ ხელისუფლებას!

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"**

# ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

***ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.***

***დასაწყისად გთავაზობთ აღნიშნული წიგნის ივანე ჯავახიშვილისეულ წინასიტყვაობას.***

8 წლის განმავლობაში ვცდილობდი ქართული საისტორიო წყაროები კრიტიკულად შემესწავლა და თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების საშუალებით ჩვენი ერის წარსული გამომეკვლია. ამგვარმა კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ მამაპაპეული შეხედულება ქართველი ხალხის მრავალ საუკუნოების ისტორიაზე, რომელიც ჩვენ მწერლობაში წინადაცა და ეხლაც გაბატონებულია, მხოლოდ საისტორიო წყროებისა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული. 8 წლის მუშაობამ არსებითად შესცვალა ჩემი შეხედულებაც და დამანახვა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმე.

უკანასკნელი ოცი, მეტადრე ათი წლის განმავლობაში ბევრი დიდ-მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი ხელნაწერის აღწერილობა არის დაბეჭდილი; საჭირო იყო და ეხლაც საჭირო არის, რომ ყველა მასალები მეცნიერულად, საისტორიო მეთოდების მიხედვით შესწავლილი და დაფასებული ყოფილიყო; ამ მხრივ ჩვენი საისტორიო მწერლობა ჯერაც დიდ ფხას ვერ იჩენს. ზოგს ამის გამო ჰგონია კიდეც, რომ ვიდრე ამგვარი კვლევაძიება დამთავრებული არ იქნება, ვითომც მანამდისინ არც ისტორიის დაწერა შეიძლებოდეს. ამგვარი აზრი შემცდარადა და საქმისათვის მავნებლად მიმაჩნია. რასაკვირველია, თუ რომ ისტორიკოსი გარკვეულსა და გამოურკვეველს ერთი-ერთმანეთში დომხალივით არევს, მაშინ ამგვარს ნაწარმოებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ თუ მეცნიერი იმას, რაც უკვე კრიტიკულად გამორკვეული და შესწავლილია, თავს მოუყრის და ჩაუკვირდება, ამნაირი შრომა სასარგებლოც არის და დროგამოშვებით ამ ხასიათის თხზულებების წერა აუცილებლადაა საჭირო და მეცნიერების წარმატებას ხელს უწყობს. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, როცა ქართველ ერის ისტორიის წერას შევუდექი: მე ვცდილობდი ამ თხზულებაში მხოლოდ ისეთი ცნობები შემეტანა, რომელიც თანამედროვე მწერლობაში უკვე გამორკვეული არის, ან რვა წლის განმავლობაში თვითონ მე შესწავლილი მქონდა. ამიტომ, **"ქართველ ერის ისტორიაში"** ყველა ჩვენის წარსულის დიდმნიშვნელოვან საკითხების შესახებ არ მოიპოვება ცნობები, არამედ შეტანილია ის, რაც თანამედროვე ცოდნისა და კვლევა-ძიების მიხედვით გამორკვეულად უნდა ჩავთვალოთ. შემდეგში, როცა ქართველ ხალხის წასულის შესწავლა დაწინაურდება, ჩვენ ისტორიასაც ამ მხრივ მეტი სისრულე დაეტყობა. **"ისტორია"** ოთხ წიგნად მაქვს განზრახული: პირველი წიგნი უძველეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე, მეორე – VII-VIII საუკუნეებს, მესამე – XIII-XV საუკუნეებს, მეოთხე – XVI-XVIII საუკუნის დასასრულამდე. **"ისტორია"** ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის უნდა ყოფილიყო დაწერილი და მარტოოდენ მეცნიერებისათვის არა ყოფილა განკუთვნილი, ისე უნდა დამეწერა, რომ წვრილმანი და დაწვრილებითი დასაბუთებით წიგნის კითხვა მეტად არ გამეძნელებინა; მაგრამ სამწუხაროდ ამ მოთხოვნილების აღსრულება ყოველგან და ყოველთვის არ შეიძლებოდა: იქ, სადაც **"ისტორიაში"** მე ჩემს ჯერედ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ გამოკვლევაზე ვამყარებ ჩემს შეხედულებას და დასკვნას, როგორც მაგ. ქართველ ტომების უძველეს დროს გეოგრაფიულ მიმოხილვაში (თავი I), ქართველების კულტურის შესახებ (თავი II და VI) და ქართველების წარმართობის შესახებ (თავი III), მე იძულებული ვიყავ, რომ ჩემი აზრი და მსჯელობა დაუსაბუთებელი არ ყოფილიყო, **"ისტორიაში"** მონოგრაფია თითქმის მთლად შემეტანა. ამის გამო მოთხრობის ხასიათი **"ისტორიაში"** ერთნაირი არ არის. შემდეგ წიგნის ბეჭდვის დროს, მე ვგონებ, ეს ნაკლი თავიდან ავიცილო, იმიტომ რომ VII-XIII საუკ. შესახებ ორი მონოგრაფიული გამოკვლევა – **"საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია"**, **"საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I"** უკვე დაბეჭდილი მაქვს, მესამე **"ქართულ სამართლის ისტორია, წიგნი I"** დამთავრებული და დასაბეჭდად დამზადებულია. ამნაირადვე საჭიროდ მიმაჩნია, ვიდრე ისტორიის მე-III და მე-IV წიგნები გამოვიდოდეს ზემოჩამოთვლილ მონოგრაფიების გაგრძელება გამოვაქვეყნო.

**"ქართველ ერის ისტორია"** ხშირად ისეთ წყაროებზე მაქვს დამყარებული, რომლებითაც წინად არა სარგებლობდნენ ხოლმე, და სამაგიეროდ ბევრ შემთხვევაში მე არ მისარგებლნია და არ მიხელმძღვანელია ისეთი წყაროებით, რომელზედაც განსაკუთრებით დამყარებული იყო წინად საქართველოს უძველესი ისტორია; თვით თხზულებაც სულ სხვა გეგმებზეა აშენებული და ამის გამო არც გასაკვირველია, თუ რომ ჩემი შეხედულება ჩვენი ერის წარსულზე ჩვეულებრივ შეხედულებისაგან არსებითად განირჩევა. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში **"ისტორიის"** საზოგადო ხასიათი ნებას არ მაძლევდა ჯეროვნად და დაწვრილებით დამესაბუთებინა, თუ რამ მაიძულა თხზულებაში ესა თუ ის ცვლილება შემეტანა. რაც შეეხება ქართულ საისტორიო წყაროების ღირსებასა და იმ გარემოებას, თუ რა მიზეზით არ ვხელმძღვანელობდი ჩვენი ერის უძველეს ისტორიის გამორკვევის დროს **"ქართლის ცხოვრებით"**, ამის შესახებ ამ წიგნის შესავალში იმიტომ არაფერია ნათქვამი, რომ ცალკე გამოკვლევა მაქვს დამზადებული – **"ისტორიის მიზანი და მეთოდები წინად და ეხლა"**, სადაც ამ საგნის შესახებ ყველა ცნობები მოიპოვება. როცა ეს წიგნი დაიბეჭდება, იქ იპოვნის მკითხველი ქართულ წყაროების კრიტიკულ მიმოხილვასაც.

**"ქართველ ერის ისტორია"** ამ სამი წლის წინად არის დაწერილი და მხოლოდ ეხლა ეღირსა მას დაბეჭდვა. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ჩემდა ცდის მიუხედავად წიგნს მაინც კორექტურული შეცდომები შეეპარა: ჩვენი სტამბები სამწუხაროდ სამეცნიერო წიგნების დასაბეჭდავათ მოწყობილი არ არიან. მე აზრადა მქვს, ისტორიისათვის ძველ ნაშთებისა და მოღვაწეების სურათები და საგეოგრაფიო რუკები დამერთო, მაგრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა, იმედია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებ.

ჩემ მოვალეობათა ვთვლი, გულითადი მადლობა ვუძღვნა ამ ისტორიის გამომცემელს თავად პ.ი. თუმანიშვილს და ბატონებს ა. მდივანსა და პ. სურგულაძეს, რომელთაც ჩემ თხზულების გამოცემას ხელი შეუწყვეს, განსაკუთრებით უკანასკნელმა დამავალა მით, რომ ბეჭდვის დროს სტამბას თვალყურს ადევნებდა და წიგნის გამოცემას აჩქარებდა. ვისაც ერთი წიგნი მაინც დაუბეჭდია ჩვენებურ სტამბებში, ის ადვილად მიხვდება რამდენი დრო და მოცალეობა უნდა დაჰკარგოს ადამიანმა, ვიდრე წიგნის ბეჭდვას დაამთავრებს.

**ივ. ჯავახიშვილი,**
**1908. 30. VIII, ტფილისი.**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანებს შორის კარგ დამოკიდებულებას ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს

„მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ომი ომია და აფხაზეთში ბევრი უდანაშაულო ქართველი დაიღუპა! ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!“

ნათელა ბერიკაშვილი:

*აფხაზეთის რადიოს ქართული რედაქციის ხელმძღვანელის ნათელა ბერიკაშვილის აზრით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სახალხო დიპლომატიის წყალობით უფრო მალე მოგვარდება, ვიდრე ეს პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ! ქალბატონი ნათელა განცვიფრებულია იმ პატივისცემის გამო, რაც დღევანდელმა აფხაზურმა დე ფაქტო მთავრობამ მისი მეუღლის, აწ გარდაცვლილი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სოხუმის ფილარმონიის დირექტორის მოადგილის მამია ბერიკაშვილის მიმართ გამოიჩინა და თბილისიდან მადლობა შეუთვალა მათ.*

**– ქალბატონო ნათელა, არაერთგზის მსმენია, რომ თქვენს ოჯახს აფხაზები განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ; რა იყო ამ განსაკუთრებული სიყვარულის მიზეზი?**

– უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ ამ თემით დაინტერესდით და საშუალებას მაძლევთ, მოვუთხრო მკითხველს, თუ როგორ მოვხვდით 1957 წლიდან მე და მამია აფხაზეთში!

ყველაფერი ასე დაიწყო: აფხაზეთის მაშინდელმა მთავრობამ თბილისისგან ერთი ახალგაზრდა კომპოზიტორი მოითხოვა, რომელიც ხელს შეუწყობდა კულტურის განვითარებას აფხაზეთში! მამია, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, სოხუმში გაემგზავრა...

**– წინააღმდეგი რატომ იყავით?**

– იმიტომ, რომ იქ არავის ვიცნობდი, არ მყავდა მეგობრები, ნათესავები და ა.შ., მაგრამ, როდესაც მოგვიანებით მეც ჩავედი, მოვინუსხე იქაურობით, გავიცანი არაჩვეულებრივი ინტელიგენცია, არაჩვეულებრივი ხალხი. ვცხოვრობდით ბედნიერად! ჩემი მეუღლე ჩასვლისთანავე ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს; წერდა სიმღერებს საესტრადო ჯგუფებისთვის, აფხაზური და ქართული თეატრისთვის და ძალიან პოპულარულიც გახლდათ. ნებისმიერი პრემიერის (როგორც აფხაზური, ისე ქართული სპექტაკლებისა) შემდეგ მთელი დასი რესტორან **„რიწაში“** იკრიბებოდა, სადაც სუფრას არაჩვეულებრივი მოქართულე, დახვეწილი ინტელიგენტი ივანე თარბა თამადობდა და ირგვლივ **„მრავალჟამიერი“** და **„ოუ რაიდა, სი ვარაიდა“** ისმოდა!

**– თქვენი აზრით, პირველი ბზარი როდის გაჩნდა და შემდეგ რამ განაპირობა ვითარების ისეთი დაძაბვა, რომ ომი გარდაუვალი გახდა?**

– გულახდილად ვამბობ: პირველი ბზარი პირადად მაშინ შევნიშნე, როცა ქართველებს იმ თეატრიდან გასვლა მოუნდათ, სადაც აფხაზური თეატრიც მუშაობდა! მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ ქართულ დასს უფრო მეტი სპექტაკლი ჰქონდა, მეტი ფული შეჰქონდა თეატრის ბიუჯეტში, დაფინანსება კი აფხაზი მსახიობების ოდენა ჰქონდა! მიზეზად ისიც სახელდებოდა, რომ აფხაზი რეჟისორის ჰონორარი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქართველი რეჟისორისა. ეს მცირე ნიუანსები, რა თქმა უნდა, **„შეგდებული“** იყო იმისთვის, რომ სიტუაცია ნელ-ნელა დაძაბულიყო... თუმცა, უფრო ადრე, 70-იან წლებში, სოხუმის ფილარმონიაშიც განვითარდა არასასურველი პროცესი და, როდესაც მაშინდელი კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი ჩამოვიდა სიტუაციაში გასარკვევად, იქ აფხაზებმა მას და საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს: რადგან ავტონომიური რესპუბლიკა ვართ, უფლება გვაქვს, სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ოპერა და სხვა კულტურული სტრუქტურები გვქონდეს, რადგან კონსერვატორიადამთავრებული ჩვენი კადრები დასაქმდნენო. გაგიკვირდებათ, მაგრამ თაქთაქიშვილმა მაშინ აფხაზებს სრულიად სამართლიან მოთხოვნაზე უარი განუცხადა! ვერ გადმოგცემთ, რა ამბავი ატყდა დარბაზში! თაქთაქიშვილი დარბაზიდან (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ძლივს გაიტანეს! სხვათაშორის, ჩემმა მეუღლემ ბატონ ოთარს ამ ფაქტისა და უარისთვის უსაყვედურა. ამის გამო თაქთაქიშვილი მამიას გადაეკიდა და, სანამ კულტურის მინისტრი იყო, გასაქანს არ აძლევდა! ჩემი მეუღლე კი იმ დროს თბილისში არ ჩამოდიოდა!..

**– აფხაზებს მოგვიანებით ხომ ჰქონდათ კაპელაც და სიმფონიური ორკესტრიც?**

– დიახ, ჰქონდათ, **„ნება დართო“** საქართველოს მთავრობამ; განა არ ჯობდა, ეს ყოველგვარი დაძაბულობისა და უსიამოვნების გარეშე მომხდარიყო? თანდათან რატომ ვძაბავდით სიტუაციას? არ ვამბობ, რომ აფხაზები უცოდველები იყვნენ. რასაკვირველია, მათ შორისაც იყვნენ მოექსტრემისტო ელემენტები, მაგრამ შენ, ქართველო, როცა იცი, რომ ვიღაც ამ პროვოკაციებს ხელოვნურად გიწყობს და გახელებს, რატომ წამოეგები ხოლმე? მე სულ ვამტკიცებდი – ის, რაც ცხინვალში მოხდა, სოხუმში არასოდეს მოხდება მეთქი, მაგრამ მაინც მოახდინეს.

**– ომი რომ დაიწყო, ბევრი ქართველივით თქვენც გაგიხარდათ?**

– მე და მამია ჩვენს ეზოში ვიდექით, სოხუმში ტანკები რომ **„შემოგრიალდნენ“... „მი პოგიბლი ნატელოჩკა,“** – მითხრა მამიამ, – **„ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ“!** სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა.

**– 1978 წლიდან დღითიდღე უფრო მძაფრდებოდა აფხაზთა მოთხოვნები. საინტერესოა, თქვენს სამსახურში, ანუ აფხაზურ რადიოში თანამშრომელთა მხრიდან თუ გრძნობდით რაიმე უკმაყოფილებას და დღეს თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა?**

– არავითარი დაპირისპირება არ მქონია აფხაზებთან! პირიქით, ყოველთვის თბილად და პატივისცემით მეპყრობოდნენ და დღესაც ასეა. 1978 წელს, როცა აფხაზებმა რუსეთთან შეერთება პირველად მოითხოვეს, თბილისიდან სოხუმში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, ხოლო მოსკოვიდან – კაპიტონოვი. მაშინ კაპიტონოვმა განაცხადა: **„არავითარი შემოერთება არ მოხდება!“** ლენინის სახელობის მოედანი გადაჭედილი იყო ხალხით... ამ სიტყვებზე დაინგრა იქაურობა, ისეთი ამბავი ატყდა, შევარდნაძეს მეგაფონები და მიკროფონები ჩამოუყარეს და სიტყვის თქმის საშუალება არ მისცეს... ძლივს გაიყვანეს უვნებელი იმ ტერიტორიიდან... მაგრამ ამ ისტორიაში მთავარი ის იყო, რომ არც ერთმა რედაქციამ კაპიტონოვის სიტყვები არ გადასცა მოსახლეობას. ეს ამბავი ქართული რედაქციიდან პირველმა მე წავიკითხე ეთერში! რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემი სამუშაო **„კაბინა“** გარედან ჩაკეტეს და არ ვიცი, რა დამემართებოდა, რომ არა ჩვენი აფხაზი თავმჯდომარე ფარცხია, რომელმაც იმ დღეს გადამარჩინა. ***ომის დროს ჩემს აფხაზ მეზობლებსა თუ თანამშრომლებს, რომლებიც შიშისგან ქუჩაში ვერ გამოდიოდნენ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, მე ვაწვდიდი პურსა და პროდუქტებს! რამდენიმე მათგანს სოხუმიდან გუდაუთაში უვნებლად გადასვლაშიც დავეხმარე!***

ომის განმავლობაში, მამიას შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, იქიდან წამოსვლა არც გვიფიქრია... შვილებმა – მამუკამ და ლევანმა თავიდანვე განაცხადეს, ჩვენ აფხაზებს ვერ ვესვრითო და არც უსვრიათ, თბილისში წამოვიდნენ! მარტში მამია გარდაიცვალა. საკვირველი ის იყო, რომ აფხაზურმა ტელევიზიამ, რომელიც იმხანად გუდაუთიდან მაუწყებლობდა, ჩვენი ოჯახის მწუხარებას საკმაო საეთერო დრო დაუთმო და მამიას შესახებ ძალიან თბილი სიუჟეტი გააკეთა! ახლა მე გეკითხებით: რა ესიუჟეტებოდა და რატომ გააკეთა ეს მაშინ აფხაზობამ, როცა გაგანია ომი იყო?

***მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორს – რუსლან ხაშიგს მამიას დაფასებისთვის; ალექსანდრე ანქვაბს კი – იმისთვის, რომ მოსკოვში გამოშვებულ აფხაზური საესტრადო მელოდიების კომპაქტ-დისკებში მან ჩემი მეუღლის ორი სიმღერაც შეიტანა!***

**– რამდენადაც ვიცი, ბატონი მამიას მიერ შექმნილი ერთ-ერთი მელოდია დღეს აფხაზეთის ჰიმნია. მართალია ეს?**

– არ მომისმენია აფხაზეთის ჰიმნი, მაგრამ ასე ამბობენ... მე ერთი რამ ვიცი, რომ აფხაზებმა გამოუშვეს ენციკლოპედია და კომპოზიტორი მამია ბერიკაშვილი, როგორც აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ამ ენციკლოპედიაში შეიყვანეს!

**– ბატონი მამია სოხუმშია დაკრძალული?**

– არა, თბილისში... როცა მისი მდგომარეობა ძალიან დამძიმდა, აქეთ წამოვიყვანეთ... გაგიკვირდებათ: როცა ცუდად იყო, მისი აფხაზი მეგობრები ინტენსიურად მოდიოდნენ ჩვენთან, ამხნევებდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად მატერიალურადაც გვეხმარებოდნენ; აღარაფერს ვამბობ პროდუქტებზე, უხვად რომ მოჰქონდათ! აი, ასეთი ურთიერთობა გვქონდა ჩვენ მათთან და, შესაძლოა, დღესაც (როცა ასეთი დაძაბულობაა) ამიტომ ვურთიერთობთ პატივისცემითა და სითბოთი! ჩემი მეგობრები მეუბნებიან: **„ნატელოჩკა, სოხუმში უეჭველად უნდა ჩამოხვიდეო“,** მაგრამ როგორ? ამაზე პასუხი არ აქვთ! რომ იცოდეთ, როგორ მინდა იქ ჩასვლა, თვალის გადავლება ჩემი სახლისთვის, მეგობრების მონახულება... ნუთუ მართლა ველარასოდეს ჩავალ სოხუმში, სადაც ზღვასაც სულ სხვა ფერი აქვს? **სულ ცოტა ხნის წინ აქ, თბილისში, აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწე, მოცეკვავე გივი ჩახავა გარდაიცვალა. უნდა გენახათ, რაოდენ დიდი იყო ჭირისუფლისა და სამძიმარზე მისული საზოგადოების გაკვირვება, როცა სოხუმიდან კანდიდ თარბამ დარეკა და ოჯახს მიუსამძიმრა!** ადამიანებს შორის კარგ დამოკიდებულებას ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს. მიმაჩნია, რომ ასეთი ფაქტების პირობებში სახალხო დიპლომატიამ თავისი ხმამაღალი სიტყვა უნდა თქვას! იცით, როგორ მინდა ამ ურთიერთობების აღდგენაში ჩავერთო და ჩემი სიტყვა ვთქვა? **„მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ომი ომია და აფხაზეთში ბევრი უდანაშაულო ქართველი დაიღუპა! ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!“** მაგრამ უნდა გვახსოვდეს არა როგორც სამაგიეროს გადახდისა და რევანშის აღების ინსტრუმენტი, არამედ როგორც იმის შთაგონება, რომ ძმათა შორის სისხლისღვრა ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაულია...

**– როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ხელისუფლებას შესწევს უნარი აფხაზურ-ქართული ურთიერთობების აღდგენისა?**

– ჩემი აზრით, რისი უნარიც შესწევდათ, ის უკვე გააკეთეს! სამწუხაროდ, მათი უგუნური პოლიტიკა თანდათან უფრო გვაშორებს აფხაზებსა და აფხაზეთს...

**– ქალბატონო ნათელა, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთი სამუდამოდ დავკარგეთ?**

– მომკალით და მჯერა, რომ სოხუმში აუცილებლად დავბრუნდებით! ძნელად, რთულად გასავლელი გზით, მაგრამ მაინც დავბრუნდებით, რადგან ჩვენ აფხაზი ერი მტრად არ მიგვაჩნია და, საბედნიეროდ, საღად მოაზროვნე აფხაზებსაც ასე ჰგონიათ. მე მოწიწებით ვინახავ საოჯახო არქივში, 70-იან წლებში გადაღებულ ერთ ფოტოს, რომელზეც ჩემი მეუღლე მამია ბერიკაშვილი, აფხაზი კომპოზიტორი კონსტანტინე ჩენგელია და კომპოზიტორი რაჟდენ გუმბა საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ! ეს ჩვენი ერთობლივი ისტორიაა, რომლის დავიწყებას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ!

ესაუბრა
**ირინე გოგოსაშვილი**

## აშშ ბიუჯეტის დეფიციტი ერთ წელიწადში 962 მილიარდით გაიზარდა

გასული ფინანსური წლის ბოლოსთვის აშშ ბიუჯეტის დეფიციტმა 1,417 ტრილიონი დოლარი შეადგინა, ეს კი შარშანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით 962 მილიონი დოლარით მეტია.

დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის თითქმის 10 პროცენტს შეადგენს, რაც 1945 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ფინანსური მონაცემებით, სექტემბერში დასრულებული 2009 საფინანსო წლის განმავლობაში შემოსავლებმა 2,105 ტრილიონი დოლარი შეადგინა, დანახარჯებმა კი – 3,522 ტრილიონი. აშშ ხელისუფლებაში კი აღნიშნავენ, რომ 1,417-ტრილიონიანი დეფიციტი წლის დასაწყისისთვის ობამას ადმინისტრაციის მიერ პროგნოზირებული სავარაუდო 1,58 ტრილიონზე ნაკლებია.

აშშ ფინანსთა მინისტრ ტიმოთი გაიტნერისა და საბიუჯეტო სამმართველოს ხელმძღვანელ პიტერ ორზაგას ერთობლივი განცხადებით, 2009 წლის დეფიციტი დიდწილად წინა ხელისუფლების პოლიტიკითა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისითაა განპირობებული.

**„ეკონომიკის გადარჩენიდან მის აღდგენაზე გადასვლის პირობებში პრეზიდენტი გააცნობიერებს, რომ ჩვენ ერი ფინანსურად მდგრად გზაზე უნდა დავაბრუნოთ“,** – განაცხადა ორზაგმა.

შეგახსენებთ, აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ აშშ საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზით, 2010-2019 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი ცხრა ტრილიონ დოლარს მიაღწევს და ამის უმთავრესი მიზეზი ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანი დანახარჯების ზრდა იქნება.

## ბანკები დოლარს იშორებენ

საერთაშორისო ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მსოფლიო ბანკები ამერიკული ვალუტისადმი ნდობას კარგავენ და დოლარის რეზერვები ევროსა და იენში გადააქვთ. ამან კი, მიუხედავად დოლარის კურსის დროებით ხელოვნურად გამყარებისა, შესაძლოა, დოლარის კურსის შემდგომი ვარდნა გამოიწვიოს. ბოლო ორი კვარტლის განმავლობაში დოლარის ვარდნის მხრივ რეკორდული აღმოჩნდა უკანასკნელი 20 წლის მაჩვენებლებით. შარშან დოლარმა 10,3% დაკარგა და 1991 წლის შემდეგ რეკორდული ვარდნა აჩვენა.

**„მსოფლიოს ცენტრალური ბანკები დივერსიფიკაციას უფრო სერიოზულად უდგებიან, მაშინ, როდესაც აქამდე მხოლოდ მასზე საუბრით შემოიფარგლებოდნენ, როგორც ჩანს, ისინი მართლა უარს ამბობენ დოლარზე“,** – ამბობს აშშ ფედერალური რეზერვის ექს-ანალიტიკოსი და ამერიკის ეროვნული ვალუტის საკითხებში „Barclays“ მთავარი სტრატეგი სტივენ ენგლანდერი.

1999 წლიდან მსოფლიოს ცენტრალური ბანკების ახალ სავალუტო რეზერვებში დოლარის წილი 63%-ს შეადგენდა, მაგრამ 2009 წლის მეორე კვარტალში ის 37%-მდე შემცირდა, მესამე კვარტალში კი, ენგლანდერის მტკიცებით, აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ დაჩქარდა.

**საკუთარი ინფორმაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ – სამშობლოდართმეულები!

ბავშვებს რა ვუთხრა, თორემ, ჯობდა საერთოდ არ ჩამოვსულვიყავით საქართველოში!

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ამ ჭკუაზე დავდგებოდი და სამშობლოში ჩამოსვლას ვინანებდი. ყველაზე მეტად, ბავშვების შემრცხვა – არ გავდა ჩვენი სამშობლო იმას, რასაც უცხოობაში ვუხატავდით მათ მე და ჩემი მეუღლე (უნდა გამოვტყდე, ჩემი მეუღლე, უფრო წინდახედული აღმოჩნდა და მუდამ მიშლიდა – **ჯობია, ჩვენი სამშობლო ისეთი დახვდეთ, როგორიც არის, ბავშვებს ზღაპრებს ნუ უყვები, თორემ მერე, მას ვერასოდეს შეიყვარებენო!**) და გულნატკენები დავბრუნდით საქართველოს პირველი ლედის სამშობლოში, სადაც ჩვენ, ქალბატონი რულოვსის საქართველოში **„გადედოფლებამდე“** დიდი ხნით ადრე ვიყავით ჩასული.

**„სოსტერბერგი“** – ერთი პატარა ქალაქია ჰოლანდიაში, რომელსაც ჩემისთანა გადმოხვეწილი თუ მიაქცევს ყურადღებას, თორემ იგი, როგორც ადგილობრივ საერო მოსახლეობას, ასევე **„ღვთისმსახურებსაც“** არ ყავთ მაინც და მაინც დიდ სათვალავში. ქალაქის ღირსშესანიშნაობათაგან, ახალჩამოსულისთვის, აუცილებლად ყურადღებას მიიპყრობს **„Hotel am Berg“-სასტუმრო მთასთან** და **„Hotel am Kloster“-სასტუმრო მონასტერთან**, რადგან **„მთა“** მხოლოდ წარმოსახვაში შეიძლებოდა ჰქონოდათ ჰოლანდიელებს, **„მონასტერი“** კი – **დიდი ხანია დაცარიელდა და დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულ, უღირს, თუ ღირსეულ სტუმართა ღამისსათევად არის ქცეული!**

მეც მომიწია იქ ოთხი კვირა ცხოვრებამ. უცხოეთში, ბევრჯერ მქონია შემთხვევა, როცა ჩემი მასპინძლისთვის მითქვამს, არ მინდა ნამეტნავად ძვირფას სასტუმროში ყოფნა, ამისათვის დიდი მადლობა, მირჩევნია სადმე უფრო მოკრძალებულ ღამისსათევს თუ შემომთავაზებთ, სადაც ნაკლებად შემაწუხებენ ფულის ტომრებად ქცეული, ადამიანის მაგვარი არსებები-მეთქი!

**„მონასტერი-სასტუმრო“** ჩემთვის სასურველი სტანდარტის უნდა ყოფილიყო. თავიდან ასე ჩანდა კიდეც, მაგრამ რამდენიმე დღეში უცნაური სიზმრები დამჩემდა – **გამთენიისას სამრეკლო მეჩვენებოდა და შორეული ზარების რეკვა ჩამესმოდა.**

ჩემს მასპინძელს მოვუყევი ამ უცნაურობის შესახებ. მას არც გაკვირვებია, მშვიდად ამიხსნა – **არა, დავით, შენ კი არ გეჩვენება, ეს მართლა ასეა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე აქ მონასტერი იყო, რომელიც დიდ სულიერ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ხალხი, საზოგადოება განვითარდა, მონასტერმა ფუნქცია დაკარგა, იგი დღეს არავის სჭირდება და მისი მღვდელ-მონაზვნები უცხო ქვეყნებში ეწევიან მისიონერობას, მონასტრის შენობა კი ერთმა ფულიანმა კაცმა შეისყიდა და იქ სასტუმრო გამართა. რაც შეეხება გამთენიისას ზარების რეკვას – იგი შენ არ მოგჩვენებია, გამთენიისას, შენს საწოლთან დამონტაჟებული რადიო ირთვება და დაბალ ხმაზე, ზარების რეკვას გადმოსცემს. შენ რომ გუშინ, ქალაქის განაპირას, ეკლესიის სარკმლებში ჭრელი ფარდები გაგიკვირდა, ისიც ბუნებრივია, რადგან ეკლესიების უმრავლესობა დიდი ხანია გაიყიდა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებად გადაკეთდა.**

ხმა არ ამომიღია, ან რა უნდა მეთქვა რომ იტყვიან **რკინისებურ ლოგიკას – „საზოგადოება განვითარდა, მონასტერმა ფუნქცია დაკარგა!..“** ვერაფერი დავუპირისპირე, ჩუმად ვუსმენდი ჩემს მასპინძელს და ვფიქრობდი – ეს რომ საქართველოში ჩამოვა, აუცლებლად უნდა ვაჩვენო სვეტიცხოველი და დიდოსტატის მოჭრილი მარჯვენა-მეთქი!

ისიც უნდა მოვუყვე საქართველოში ჩამოსულს, როგორ გაირინდა ჰამბურგელი რაინერ ადამი, ნარიყალას **„წმინდა ნიკოლოზის“** ტაძრის მოხატვის შემსწრე და ტაძრიდან გამოსული, როგორი აღფრთოვანებით უყვებოდა მეუღლეს მობილური ტელეფონით – **ჩვენ ხომ გვეგონა, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი გვინახავს დედამიწაზე! ჩემო საუნჯევ, დამიჯერე, ყველაფერი ერთად აღებული ვერ შეედრება იმას, რისი მოწმეც მე რამდენიმე წუთის წინ გავხდი – ტაძრის მოხატვას ვუყურებდი და ვტკბებოდი ამ სიმშვენიერით, მეც მომასმევინა მხატვარმა ფუნჯი... შემდეგ ჩამოსვლაზე, აუცილებლად ერთად უნდა ვესტუმროთ აქაურობას!..**

ბოდიშს გიხდით, თავი თუ მოგაწყინეთ, ვატყობ ძალიან გავუტიე!

ასე დაიწყო ჩემი **„ინტეგრაცია“** ჰოლანდიასთან.

ჩემი მასპინძელი, ერთი არაჩვეულებრივი, ჰოლანდიურ-გერმანული ოჯახი აღმოჩნდა, სადაც წიგნი დიდად ფასობდა და მათთვის წიგნიერი სტუმარი დიდი სიამოვნება იყო. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ეს ის ოჯახია, წინასწარ რომ გაცნობოდნენ და ცოტაოდენი წარმოდგენა ჰქონოდათ მომავალ სასიძოზე, რულოვსებიგან განსხვავებით, მას საქართველოს პრეზიდენტობის გამო ქალიშვილს არ გაატანდნენ!

**–ქალიშვილი!**

–გადასარევები ვართ ქართველები პირდაპირ! მახსენდება, უნივერსიტეტში სწავლისას, ყოველ გაზაფხულზე, სტუდენტური დღეები და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები ტარდებოდა. მეც ვიღებდი მასში მონაწილეობას. ერთხელაც, ჩემმა კურსელმა გოგონებმა კონფერენციის პროგრამა მომირბენინეს და **„საკონფერენციო“** თემაზე მიმანიშნეს, რომელიც ასე იყო დასათაურებული – **„ქალი და პატიოსნება“!**

საინტერესოდ მეჩვენა! მეგონა, ქალთან მიმართებაში **„დახვეწილი და ფაქიზი“** ქართველები, უამრავ მარგალიტებს დააბნევდნენ, მაგრამ იმედი მალევე გამიცრუვდა – სამი დღე გაგრძელდა **„ქალის და მისი პატიოსნების“** გარშემო ატეხილი დავიდარაბა, რომელიც ქალის ყველაზე ინტიმურ და იმ დროისათვის სასირცხვო ადგილს (თორემ, დღეს, იმ ადგილას თავპირით არიან გადაშვებული ევროპელები და გაევროპელებული ქართველები!) ვერ გასცდა, რაც ჩემთვის მოუთმენელი გახდა და კამათში მონაწილეობის უფლება ვითხოვე.

უარი არ უთქვამთ, მეც არ დავაყოვნე და გულალალად ვიკითხე – **ხალხნო, ხომ არ გეჩვენებათ, რომ, ქალის პატიოსნებას სრულიად უადგილო ადგილას ეძებთ, იქნებ ჯობია დაფიქრდეთ და საკუთარ თავს თუ არ სცემთ პატივს, ქალს მაინც ეცით –მეთქი პატივი!**

თავიდან, თითქოს, ვერ გამიგეს ნათქვამი, მაგრამ რამდენიმე წუთში, ჯერ ასისინდა, შემდეგ ახრიალდა, აგუგუნდა და ბოლოს, კინაღამ დაინგრა დარბაზი!..

მომდევნო გამომსვლელმა პირდაპირ განაცხადა – **დიდი ხანია ვეძებდი, გარემოების შესაბამის გამოთქმას, რომელიც ასე ლაკონურად გამოხატავდა დამკვიდრებულ სტერეოტიპს!..** და, დარბაზი სულ სხვა მხარეს გადატრიალდა. ისე წავიდა საქმე, ადვილი შესაძლებელი იყო, ისეთი რამ თქმულიყო, რაც იმდროინდელ უნივერსიტეტის განაწესს არ შეეფერებოდა, რომლის მიზეზი ჩემი გამოსვლა ხდებოდა!.. ამ ფიქრებში ვიყავი, როცა პარტერში, მოულოდნელად **„არასაუნივერსიტეტო სახეები“** გამოჩნდა და სანამ მდგომარეობა გართულდებოდა, ერთ-ერთმა მათგანმა, ახალ თემაზე გადასვლა შესთავაზა საზოგადოებას.

ასე განიმუხტა მყისიერი დაძაბულობა და ემოციები. ამის მერე, ამ საკითხზე არავის უკამათია.

...მე კი, მეორე დღეს დეკანატში გამომიძახეს და კინაღამ მეორედ დამატოვებინეს უნივერსიტეტი!..

როგორც იტყვიან, სიტყვამ და საქართველოში ნანახმა მიბიძგა ათწლეულების წინანდელი, ქართველი ახალგაზრდობის, დამოკიდებულება გამეხსენებინა ზოგიერთი საკითხებისადმი, რომელიც, დღესაც არანაკლებ აქტუალურია თურმე ჩემს სამშობლოში.

ისე, ჩვენში დარჩეს და, როგორც ვნახეთ, არც 30 წლის წინანდელი ახალგაზრდობა იჯდა თურმე ჭურში საქართველოში და დღევანდელებისგან განსხვავებით, როგორც ზემოთ ვახსენე **„სასირცხვო ადგილებში ცხვირჩაურგველად“** იცავდა ქალის ღირსებებს, თუ (როგორც თქვენ გენებოთ!) უფლებებს!

განსხვავება ერთ, უბრალო რამეშია მხოლოდ – მაშინდელი სახელმწიფო და საზოგადოება ქვეყნის მომავალს, ახალგაზრდობას, მეძავებად, ჰომოსექსუალებად, ლესბოსელებად და სქესმანიპულირებულებად არ ზრდიდა! ყველაფერს თავისი სახელი ერქვა და **„შორენა განმანათლებელი“** თუ არ ყავდა, დღევანდელივით – **ქალი და კაცი არასოდეს არევიათ ერთმანეთში!**

რაღა თავი მოგაწყინოთ – არცერთ ევროპულ ქვეყანაში, ახალგაზრდობაზე ისეთი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი დაწოლა არ არსებობს **„წახდი, წახდიო!“**, როგორც ეს, დღევანდელ საქართველოში ხდება და ეს ითვლება თურმე – **ევროპულ და მსოფლიო სტანდარტად!**

როგორც, იმ ორი კვირის მანძილზე **„განმანათლეს“** საქართველოში ჩამოსული – აქ დიდი **„სულიერი, ფსიქოლოგიური და აღმშენებლობითი ძვრები“** მოხდა, რაც ჩემი **„განმანათლებლების“** თქმით – **„ხალხს და ქვეყანას ეტყობა კიდეც!“**

და მეც, სამთავრობო **„ენთუზიასტი აგიტატორების“** მიერ **„ნაჯიკები“**, საკუთარი სურვილით გადავეშვი, ახალქართული ცხოვრების მორევში გასარკვევად.

წლების მანძილზე, უცხოეთში ნამყოფი (განსაკუთრებით კი პირველად ჩამოსული!) ადამიანისთვის, მართლაც შთამბეჭდავია ის **„ცვლილებები“** და **„აღმშენებლობა“**, რასაც საქართველოში ჩამოსვლისას იხილავს – უამრავი სამშენებლო ობიექტი, დამთავრებული და დაუმთავრებელი სახლები, პარკები, სკვერები, ხიდები, გზები და განსაკუთრებით **ავტობანი,** რომელსაც. პირდაპირი გაგებით – **გვერდს ვერ აუვლით!**

გაჩახჩახებული დედაქალაქი – **პირველი კაშკაშა თვალსაჩინოებაა ახალაღმშენებლობისა, რომელიც თვითმფრინავის ილუმინატორიდან მოგჭრის თვალს და უამრავი მოულოდნელი სიახლეების სურვილით განგაწყობს!..**

ზემოთ აღვნიშნე – განსაკუთრებით პირველადჩამოსულთათვის არის-მეთქი შთამბეჭდავი საქართველოში ნანახი, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს! შევეცდები გზა და გზა ავხსნა ამის მიზეზი და ასევე, იმ გაწბილებული იმედების გამოც მოგისამძიმროთ, თვითმფრინავის ილუმინატორიდან რომ მომელანდა, თბილისის **„ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო(!!!)“** აეროპორტზე დაშვებისას!

მე, **„ილორი“**-ს სტაჟიანი მკითხველი ვარ და დიდხანს ვფიქრობდი მომეწერა ჩემი გულისტკივილი, მაგრამ ბოლო მომენტში თავს ვიკავებდი სუბიექტური თუ ობიექტური მოსაზრებების გამო. ვფიქრობდი, ვინმემ ჭკუის სწავლებად არ ჩამითვალოს-მეთქი, ევროპაში გადახვეწილს, უმეტესწილად არასასიამოვნო სიმართლე და გაურჯულოებული ქვეყნის მმართველების მიერ, დამახინჯებული, **„ევროპულად“** გასაღებული, ჩემს სამშობლოში ინპლანტირებული ცხოვრების წესი, რომელსაც, როგორც საბოლოოდ დავრწმუნდი, მიეჩვია და ვერ ამჩნევს ჩემი ჯიში და ჯილაგი!.. თურმე, ეს კიდევ არაფერი, როგორც **„ილორის“** ამასწინანდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილშია **„ფრთხილად ქართველებო!“** ნათქვამი, იმასაც მიეჩვია ჩემი ხალხი, რომ მას – **შინაური, თუ უცხო ქვეყნის მოხელეები, სამედიცინო კლინიკის საცდელი ლაბორატორიის ვირთხებივით უნდა ექცეოდნენ!**

...ღმერთმა დასწყევლოს! – ეტყობა, მართლა მოუმთავრებელ არსებებად მივაჩნივართ, შინაურსა თუ გარეულს, **„პატარას“** თუ **„დიდ“** სტუმარს, რომლებსაც მათივე სურვილით თუ სამსახურეობრივი იძულებით, ჩამოუცდებათ საქართველოში ფეხი და თითქმის ორი ათეული წელია გვპირდებიან იმის დაბრუნებას, რაც გუშინ ჩვენი იყო. უმეტეს შემთხვევაში, შედეგი, რომლის გამოც ახლა გვიწევს ჭირთათმენა და თავის მტვრევა, სწორედ იმ **„სტუმრების“** წაქეზებული და მხარდანაჭერი ედუარდ შევარდნაძის (სახელმწიფო პუტჩი 1991-92 წ.წ. საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად დაწყებული აფხაზეთის ომი 1992-93წ.წ., რომელსაც მისი გასხვისება მოჰყვა!) და მათ მიერ გამოგზავნილი, შევარდნაძის პირდაპირი მემკვიდრის, მიხეილ სააკაშვილის (რადიკალურად ანტიქართული პოლიტიკის წარმართვა, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა, 2008 წლის სამაჩაბლოს ომი, რომლითაც იურიდიულად გადაუფორმა რუსეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო!) ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგადაა ქვეყანაში დამდგარი.

ჯერ იყო და, შევარდნაძეს უთვლიდნენ **„დიდ წარმატებად“** მისივე არეული და ყაჩაღების ბუდედ ქცეული ქვეყნის **„დალაგებას და წესრიგის დამყარებას“**. მოგვიანებით, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას შეწირული, აფხაზეთიდან გადმორეკილი მოსახლეობისთვის 14 ლარიანი დახმარების დანიშვნის გამო ასხამდნენ ხოტბას, გამათხოვრების პირამდე მისულ 250 ათას მიუსაფარს კი **„ხელისგულების გადატყავებამდე აბათქუნებინებდნენ ტაშს“ –** ქვეყნის ხელისუფლის მიერ მიღწეული **წარმატებების ნიშნად!**

ნათქვამია – **კვიცი გვარზე ხტისო!** და იგი, ვინ იცის, მერამდენედ აცხადდა საქართველოში:

–ამჯერად შევარდნაძის შვილობილმა მიშა სააკაშვილმა განაგრძო სულიერი მამის შევარდნაძის დაწყებული ტრადიცია – გაანადგურა და ლტოლვილად აქცია სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობა, პარალელურად რუსეთს ჩააბარა ყველა ძირითადი, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტი!.. დღეს კი საქართველოში ჩამოსული **„პატარა“** თუ **„დიდი“** სტუმარი, მას, მიშა სააკაშვილს – **დიდ წარმატებად უთვლის სამაჩაბლოდან გადმორეკილი მოსახლეობის ფუტკრის სკის მაგვარ ხუხულებში შესახლებას, როცა ეს, ათიათასობით ადამიანი, კარგად თუ ცუდად, წინაპართა უძველეს კერაზე ცხოვრობდა და ამრავალჟამიერებდა ქართულ გენს, რომელიც დღეს ცხრა მთას იქიდან მოსულთა იმედით არის, რომელთაც, გაჭირვების ჟამს „წყალწაღებულ ქვეყანაში“ წყალი ჩამოაქვს განსაცდელში ჩავარდნილთა დასახმარებლად, რაც იმის უტყუარი ნიშანია – მათ, საერთოდ, წარმოდგენა არა აქვთ ვინ ვართ ჩვენ ქართველები და რას წარმოვადგენთ!**

**გამოდის, რომ, ისინი მართლები არიან, როცა კულუარებში საცდელ ობიექტებად განგვიხილავენ და არა როგორც სრულყოფილ ქვეყანას და მის მოსახლეობას!**

თუ ჩვენ მართლა გვიყვარს ჩვენი სამშობლო, არ უნდა შევუშინდეთ შიშველ სიმართლეს!

მხოლოდ ამ გზით შეიძლება **„მივიდეთ ტაძრამდე!“**

როცა ამ სტრიქონებს ვწერ – ინტერნეტში ვუყურებ აშშ-ს სახელმწიფო მდივან, ქ-ნ კლინტონის ჩამოსვლას საქართველოში. კაცმა რომ თქვას, რა უნდა მქონდეს ამ მშვენიერი ქალბატონის საწინააღმდეგო! მაგრამ ჩემდა გასაკვირად, იგი, რატომღაც გონებაშეზღუდულ ბავშვებზე უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის რეალურ გასაჭირზე, აფხაზეთის და სამაჩაბლოს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე **– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რუსეთმა გაიყვანოს ჯარები აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიებიდან და დავუბრუნდეთ 2008 წლის ომამდელ მდგომარეობას!**

ხედავთ ჩემო ძვირფასებო – ქალბატონი კლინტონი პირდაპირ მიუთითებს, რომ **„არა საქართველოს ტერიტორიების გამთლიანება, არამედ მათი მიზანია 2008 წლის ომამდელი მდგომარეობის აღდგენა“**, რომ მერე იგი სააკაშვილს და მის მთავრობას ჩაეთვალოს დიდ წარმატებად, რა თქმა უნდა ამერიკელების დახმარების ლომის წილით!

–ხომ ხედავთ, როგორც სააკაშვილს, ისე მის ამერიკელ მფარველებს სრულიად აკმაყოფილებთ აფხაზეთის და სამაჩაბლოს 2008 წლის აგვისტომდელი მდგომარეობის აღდგენა, რაც სავსებითაც არ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას!

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ – ეს ის შემთხვევაა, როცა სააკაშვილი და მისი მფარველი ამერიკელები ალალ-მართლები არიან, რადგან **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“** მათი მიზანი კი არ არის – იგი ხალხისთვის გადაგდებული თავშესაქცევი და სატყუარაა!

...არ ვიცი როგორ გავიგო, რასაც აქ ვისმენ – რამდენიმე საათია ერთი და იგივე პრესკონფერენცია ტრიალებს ეთერში ქალბატონ კლინტონთან, თუ ეს მარტო ინტერნეტვერსიაა, კიდევ არა უშავს (თუმცა არც ეს არის მთლად ნორმალური!), მაგრამ თუ საქართველოში, მთელი დღე, ერთი და იგივე პრესკონფერენცია ტრიალებს, ყველა არხზე **– გათიშეთ იგი! რადგან, შეიძლება გაგიჟდეთ!**

სხვას არაფერს ისახავს ერთი და იგივეს ათასჯერ მოსმენა, თუნდაც იგი საუკეთესო სურვილების თოვა იყოს ჩვენი სამშობლოსა და ხალხის თავზე!

**–ნუ აღრუტუნდებით მშვენიერი ქალბატონი კლინტონის საუბრით მოხიბლულები!**

–ბოლოს რა თქვა – **თუ რუსეთმა საქართველოს თავი არ დაანება, რას ვიზამთო?!.**

–თუ არ მომეჩვენა, როცა ზოგიერთ კითხვაზე პასუხი არ გასცა, ხანაც კი მიხვეულ-მოხვეულებში გვატარა და დაგვაბნია, ჩუმად შემოგვაპარა – **რას ვიზამთ, ძალა აღმართსა ხნავსო!!!**

**დავით მარიამიძე,**
**ვაალსი, ჰოლანდია**

**P.S.** ეს, პირველი შეხვედრაა ჩემთვის **„ილორი“**-ს მკითხველთან. ბევრის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ვერ ვახერხებ სათქმელი ერთ გვერდზე ჩავატიო!.. თქვენს შეფასებას დაველოდები და თუ **„ილორი“-ს** ფურცლებზე ჩემი გამოჩენა საინტერესო იქნება **– მზად ვარ თქვენთან ერთად გამოვიტირო გამოსატირებელნი და ვიბრძოლო იმის გადასარჩენად, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია!..**

–უამრავი, სამშობლოში მცხოვრები ქართველისგან განსხვავებით: **ვისაც სიზმარი ჯერ კიდევ ქართულად გვესიზმრება – საქართველოსთან სიშორე ხელს ვერ შეგვიშლის, რადგან სამშობლოს საკურთხეველზე ხორცი კი არა, სული შეიძლება მხოლოდ შესაწირად დასდო!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყნის ძალა ხალხისა და ხელისუფლების ერთობაშია

(გვეხმაურებიან ჩვენი მეგობრები)

***ბატონი ანზორ ბარამია ცნობილი ჟურნალისტია, რომელიც ყოველთვის მიუკერძოებლად და საქმის ღრმა ცოდნით წარმოაჩენდა პრობლემებს და სახავდა მისი გადაჭრის გზებს. მაგრამ იგი არ გახლავთ ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ საზოგადოების ცხოვრებაში არსებულ ხარვეზებს ავლენდა და კარგის დანახვის უნარი არ გააჩნდა. საზოგადოებას დღესაც კარგად ახსოვს საქართველოს ცენტრალურ პრესაში დაბეჭდილი ნარკვევები და ესეები, სადაც მთელი სიდიადით იყვნენ წარმოდგენილი უბრალო, მშრომელი ადამიანები, ომისა და შრომის გმირები, მეცნიერები, პედაგოგები... დღეს, შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა, პენსიაზე მყოფი ბატონი ანზორი ზუგდიდში ცხოვრობს, მაგრამ ასაკს ოდნავადაც არ დაუმჩნევია დაღი მისი მეომრული სულისკვეთებისათვის, რაც მის მიერ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილშიც მჟღავნდება.***

გაზეთ **"ილორის"** 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მთავარი რედაქტორის წერილში **"აშშ-დან ქუთაისში მონაბერო ქარო..."**, მწარედაა გაკიცხული გახმაურებული მკრეხელური **წიგნის "საიდუმლო სირობა"** (ეს გამოთქმაც კმარა მისი დამწერის კაცობის შესაფასებლად) ავტორი ირაკლი დეისაძე და მისი თანამოაზრენი.

წერილის წაკითხვის შემდეგ უნებურად მომაგონდა 1963 წლის ქუთაისური გაზაფხული, გაზეთ **"ქუთაისის"** რედაქციაში სამთვიან პრაქტიკაზე ყოფნის საინტერესო, დაუვიწყარი თვეები, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელებს ამ **"სავარდო და სამაისო"** უძველესი და განახლებული ქალაქის იშვიათი სტუმართმოყვარეობა, მადლიანი იუმორის შუქი და სითბო, პოეზიისა და ხელოვნების ქომაგ-თაყვანისმცემელთა სიმრავლე ყოველ ნაბიჯზე გვეგებებოდა.

იმ ხანებში ჩვენი ყურადღება ერთმა, თითქოსდა უბრალო, არათვალშისაცემმა, მაგრამ მნიშვნელოვანმა ფაქტმაც მიიპყრო: ინტერნაციონალური თბილისისაგან განსხვავებით, ქუთაისის ქუჩებსა და საწარმო-დაწესებულებებში ძალიან ნაკლებად გვხვდებოდნენ რუსი ან სხვა ეროვნების მოქალაქენი, ხოლო რუსებს, ვისაც კი ვხვდებოდით, გულთან ჯვარი ეკიდათ და საკმაოდ გამართული ქართულით შეეძლოთ საუბარი. გვახარებდა ჩამოსულ არაქართველებზე ჩვენი ეროვნულ-ქრისტიანული სულიერების ასეთი ძლიერი ზეგავლენა.

წარსულის მოგონებებში ამდენად იმიტომ გადავერთე, დღემდე მიჭირს წარმოვიდგინო, თუ როგორ შეეძლო ქუთაისში დაბადებულ და გაზრდილ ოცი წლის ქართველ ახალგაზრდას, დამწყებ მწერალს, ეშმაკს აჰყოლოდა და გაუგონარი უხამსობით, აღვირახსნილად მოპყრობოდა ერის უმაღლეს სულიერ ღირებულებებს.

აღნიშნული თხზულება, თუ კი შეიძლება მას ასე ეწოდოს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ხელში არ ჩამვარდნია, არ წამიკითხავს; უფრო სწორად, როგორც გაზეთ **"ასავალ-დასავალის"** (17-23 მაისი) ინტერვიუში მამა ბასილი (მკალავიშვილი) ამბობს: **"მსგავს წიგნებს ხელსაც არ ვახლებ... ერთი პატარა ციტატაც საკმარისია მთელი წიგნის წარმოსაჩენად".** იმას, თუ რომელ ციტატაზეა ლაპარაკი, მაპატიოს მკითხველმა და ვერ გავიმეორებ, მისი ხსენებაც მზარავს და სულს მიფორიაქებს, რამდენადაც ის მაღალ ქართულ ზნეობას და თვით ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს და უფალ იესოს ეხება.

ფუი, ეშმაკს!.. ფუი, ეშმაკს!.. ეს ხომ მართლაც უღმერთობის, უზნეობის უპრეცედენტო მაგალითია.

მაშინ, როცა საქტელევიზიის **"იმედის"** არხით პროგრამაში **"სიმართლის დრო"** ე. დეისაძე გამოიყვანეს, ვფიქრობდი, რამდენად სწორი და გამართლებული იყო მისი გამოსვლა სახალხოდ, მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე, თუნდაც თავისუფალი შემეცნებით-სანახაობრივი ხასიათის გადაცემაში?.. ვფიქრობდი და ჩემივე კითხვას გულში ვპასუხობდი:

– ალბათ სწორია... და საჭიროცაა, რადგან მსგავსი სკანდალური, ურცხვობისა და თავხედობის ყოველგვარ ზღვარს გადასული ადამიანის ნამდვილი სახე ყველას უნდა ენახა. აკი მანამდეც, რუბრიკა **"ყველას გასაგონად"** ზედ ერთვოდა **"ასავალ-დასავალში"** გამოქვეყნებულ საქართველოს საპატრიარქოს განცხადებას, რომელიც ეროვნულ ფასეულობათა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, მათ შორის ხსენებული წიგნის პრეზენტაციას სათანადო შეფასებას აძლევდა.

ტელეგადაცემის ყურებისას, ქართული სულიერებისა და ცნობიერების აშკარა მტერთა ხელით დაღდასმული, გზა-კვალ აბნეული დეისაძე, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის ბერძენ ჰეროსტრატეს შევადარე, რომელმაც განდიდების მიზნით დაწვა მშობლიურ ქალაქ ჰეფესოს არტემიდას ტაძარი – ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ქმნილება მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან. იგი ამისათვის წამებით მოუკლავთ. გამოთქმა **"ჰეროსტრატეს კომპლექსი"** განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის საკვირველი ბოროტმოქმედების მნიშვნელობით შემორჩა მსოფლიოს ისტორიას.

პროგრამის წამყვანის კითხვებს გადაცემის **"გმირი"** დინჯად, გააზრებულად პასუხობდა და მიზანშიც ახვედრებდა. **"ეს პასუხი არის სიმართლე!"**– ზედიზედ გაისმოდა ეთერში. როცა ოთხი ათასი ლარი მოიგო, დაღლილ-მოთენთილმა **"მწერალმა"** თამაშის გაგრძელება არ ისურვა, **"მკვდარი ვარო",** – ამოღერღა მიზეზად. არ ვიცი, რამდენად სწორია ეშმაკური მოწყობილობის დასკვნები, მაგრამ მჯერა, რომ ღმერთი ცოდვებს სამართლიანად განიკითხავს.

სატელევიზიო სტუდიაში მსხდომ მის გულშემატკივრებს, ნათესავ ქალბატონს, უფროს მეგობარს იური მეჩითოვს და მეგობარ ახალგაზრდა მანდილოსანს **"ცოცხალ-მკვდარი"** ერეკლე დეისაძე მართლაც შეეცოდათ და **"ტანჯვისაგან"** განთავისუფლება მიულოცეს. მე იმ წუთებში რატომღაც მისი მზრუნველი მამა წარმომიდგა თვალწინ, რომელსაც ნათესავის თქმით, მეუღლესთან ერთად შვილის აღსაზრდელად არაფერი დაუშურებია, ხომ არ გაახსენდებოდა მას ურჩი ვაჟისთვის სათქმელად აკაკის **"გამზრდელის"** მოხუცი გმირის სიტყვები: **"სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!.."**

რა ჰქნას საბრალო მშობელმა. განა მას არ უნდოდა, სასახელო შვილი ჰყოლოდა, მაგრამ **"მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამაც არ უშველა!.."** თუმცა **"ბუნება"** – საზოგადოებრივი გარემო რას უშველის ადამიანს ვინც სულს ეშმაკს მიჰყიდის და თავადაც მოწამლული ჭაობის გარემოში ეფლობა.

**"იმედმა" "გაგვიმართლა"** და მის ეკრანზე კიდევ ერთხელ ვიხილეთ სრული არარაობა, სათვალეების მიღმიდან მზირალი სახედეფორმირებული, ზიზღისმომგვრელი თავხედი არსება, რომელიც აშკარად იტკბობდა პირს **"ჰეროსტრატეს დიდებით"** – აღნიშნავს თავის წერილში მთავარი რედაქტორი და განაგრძობს,– **"ის ღამე "იმედზე" სოდომისა და გომორის აღზევება გახლდათ, რომელსაც სხვებთან ერთად ამ "მწერლის" ბინძურ აზრთა დამცველის რანგში ესწრებოდა პირწავარდნილი სომეხი, ყოველივე ქართულის დამწიხლავი, "ფარაჯანირების" ტრუბადური და შხამის მფრქვეველი ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი..."**

მე პირადად იმ წერილიდან პირველად გავიგე ვინაობა, პროფესია და ავი ზრახვანი უცნობი კაცისა, რომლის კარგი ფოტოები მინახავს ჟურნალ-გაზეთებში და რომელიც ტელეგადაცემაში სხვებზე ხშირად აქტიურობდა. მსგავსი ორიენტაციის სომხებიც არაერთი შემხვედრია ახალგაზრდობაში თბილისსა თუ სხვა ქალაქებში და არაკეთილსინდისიერი მსჯელობის შემთხვევაში მათთვის ყოველთვის საკადრისი სწორი პასუხი გამიცია.

გაზეთ **"ილორის"** მთავარი რედაქტორი პირდაპირობით, დაუფარავად ამხელს ისტორიულად საქართველოს მახლობელ და მოსაზღვრე სომხეთის უღირს შვილთა ხან შენიღბულ, ხან დაუფარავ ვერაგულ საქმეებს, როგორსაც ისინი დღესაც, ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად ძნელბედობის ჟამს ეწევიან ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც კარგად ჩანს **"ალიას"** და სხვა გაზეთების პუბლიკაციებიდანაც.

ეს თემა არახალია. მისი სათავე გარდასულ საუკუნეებშია და თავის დროზე მისთვის ყურადღება არავის ისე სერიოზულობითა და სიღრმით არ მიუქცევია, როგორც მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს უპირველეს მოჭირნახულეს, საქართველოს უგვირგვინო მეფედ გამოცხადებულ უდიდეს მოაზროვნეს ილია ჭავჭავაძეს. ამას ნათლად ცხადჰყოფს 110 წლის წინ დაწერილი მისი 90-გვერდიანი პუბლიცისტური ღრმაშინაარსიანი წერილი **"ქვათა ღაღადი"**. ვისაც ის არ წაუკითხავს, ვერ წარმოიდგენს ზოგ სომეხ მოღვაწეთა და მათ მიერ მოსყიდულ-გადაბირებულ ლაქიათა მიერ შეთითხნილ სიცრუეებს ქართველი ერის დასამცრობად, დასაკნინებლად. ვერ გაიგებს, თუ როგორი საშიში, უჩინარი, მეგობრის სამოსელში გახვეული ახლობელი მტრები უთხრიდნენ ძირს ჩვენს ქვეყანას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე აურაცხელი მტრის გავეშებული ურდოების გამუდმებულმა შემოსევებმა ვერაფერი დააკლეს. სწორედ ამიტომაც, ილია ჭავჭავაძეს ნაშრომისათვის ეპიგრაფად რუსთაველის ბრძნული გამონათქვამი წარუმძღვარებია:

**"ეგრე მტრისა არ მეშინის**
**რადგან ცხადად მაწყინარობს,**
**მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,**
**მემოყვრება, მოცინარობს..."**

დიდი ილია კონკრეტულად ეხება და ასაბუთებს რა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სომეხ სწავლულ-მეცნიერთა თუ უსწავლელ რეგვენთა ნაყალბევსა და მონაჭორებს, ყოველგვარ უღირს საქციელს, ამასაც აღნიშნავს: **"...ჩვენ ადრეც გვითქვამს და ახლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა – მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ მეცნიერთ ეკუთვნის..."**

ასეთი უვიცი დღეს არავინაა საქართველოში, რომ გარკვეული ჯგუფის, **"გუნდის"** ცოდო-ბრალი მთლიანად ამა თუ იმ ერს მიაწეროს. ამასთან, უპირველესად, ყველამ ჩვენ-ჩვენი ცოდვები და შეცდომები უნდა შევიგნოთ.

**"შეიცან თავი შენი!"** – კარგია, თუ ამ ფილოსოფიური სიბრძნის არსს ყველა ჩაუკვირდება. ქვეყნის მძიმე ვითარების დროს განზე გადგომა, გულგრილობა, უმოქმედობა – შეცოდების და დანაშაულის ტოლფასია.

**"მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს" –** ესეც მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მოსყიდულ-გადაბირებულ-გადაგვარებულთა, ულმერთოთა ყოველგვარი უზნეობის გასაკილავად და ამოსაძირკვად ერთეული მამულიშვილების, ჟურნალისტებისა თუ სხვა პროფესიის მოქალაქეთა თავგამოდება, მხნე შეძახილი არ კმარა. ხალხის ერთიანი ძალისხმევაა საჭირო. ამისთვის აუცილებელია, საპატრიარქოს გარდა, საზოგადოებას განცხადებით მიმართოს საერო თავკაცობამ – ხელისუფლებამაც, რათა ხალხმა მისი სიტყვა და საქმე, ეროვნულობა და რელიგიურობა უფრო ირწმუნოს.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერების განსამტკიცებლად ხელისუფლებამ ხალხის გულისთქმა, სამშობლოსა და სარწმუნოებისადმი მისი საერთო დამოკიდებულება უნდა გაიზიაროს, გაითავისოს, დაიცვას ერი, მართლმადიდებლობა ღია მტრული მუქარისა და თავხედური, თავაშვებული გამოხტომებისაგან. სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა სწორედ ამგვარ ერთობაში და ურთიერთდამოკიდებულებაშია.

**ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ ასეთი უნდა იყოს!**

***P.S.* *გაზეთი "ილორი" მადლობას უხდის ჩვენს დიდი ხნის მეგობარს ბატონ ანზორ ბარამიას გამოხმაურებისათვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი მომავალში აქტიურად ითანამშრომლებს ჩვენს გაზეთთან.***

არც ერთ დროს ისე არ შეესაბამება დიდ მუხრან მაჭავარიანის მიერ შექმნილი ლექსი **"სხდომა"**, როგორც დღევანდელს!

თავმჯდომარე ორატორებს
უხმობს სიით.
და...
გარეშე ყოველგვარი ხათრის,
–
განსწავლულის (ეს რა ვნახე)
პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
უწიგნური
ადის.

თავმჯდომარე ორატორებს
უხმობს სიით.
და...
გარეშე ცეროდენა ხათრის, –
პატრიოტის (ვიღუპებით!) პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
უცხო თესლი ადის.

თავმჯდომარე ორატორებს
უხმობს სიით.
და...
ტყუილში ქურციკივით მარდი,
–
ქველმოქმედის (დავიღუპეთ!)
პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
მატრაბაზი
ადის.

და...
გექნებათ შენიშნული, ალბათ,
ჩაწყობანი როცა ხდება კარტის, –
ზოგიერთი,
ვინც ვერ უძლებს ამას, –
დარბაზიდან
ფეხაკრეფით
გადის.

## გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

### ზბიგნევ ბონეკი

დაიბადა 1956 წლის 3 მარტს პოლონეთში.

თამაშობდა კლუბებში **"ზავიშა"** (ბიდგოში), **"ვიძევი"** (ლოძი), **"იუვენტუსი"**, **"რომა"** (იტალია).

ბონეკი ფეხბურთელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც შეცვალა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების პოლონელთა გამოჩენილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი. იგი მართლაც რომ ბრწყინავდა როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში, ასევე **"იუვენტუსშიც"**. ბონეკი ავტორიტეტულ სპორტსმენად იქცა ჯერ კიდევ მაშინ, როცა პოლონეთის **"ვიძევში"** თამაშობდა, საიდანაც იგი **"იუვენტუსმა"** შეიძინა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბონეკმა სამი გოლი გაიტანა ბელგიის საფეხბურთო ნაკრების კარში. მაშინ იტალიელებმა ბონეკში 1,1 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადეს. იმ დროისათვის ეს, პოლონელი ფეხბურთელებისათვის, ნამდვილად სარეკორდო თანხა გახლდათ. ბონეკმა გამარჯვების გოლი გაუტანა პორტუგალიურ **"პორტოს"**, **"იუვენტუსის"**, შემადგენლობაში ევროპის თასის მფლობელთა თასის მოსაპოვებლად გამართულ ტურნირში 1984 წელს, როცა იტალიელები ამ საპატიო ჯილდოს დაეუფლნენ. 1985 წელს კი **"იუვენტუსმა"** ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა მას შემდეგ, რაც იტალიელებმა **"ლივერპული"** დაამარცხეს **"ეიზელის"** მოედანზე. ბონეკმა 24 გოლი გაიტანა პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 80 მატჩში.

### ჯანპიერო ბონიპერტი

დაიბადა 1928 წლის 4 ივლისს, იტალიაში.

თამაშობდა კლუბ **"იუვენტუსში"**.

ბონიპერტი უკვე თავისი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში იქნა აღიარებული იტალიური ფეხბურთის **"ვარსკვლავთბიჭუნად"**. მან ოთხ თვეში თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, მას შემდეგ, რაც **"იუვენტუსმა"** შეიძინა მეორე ლიგის საფეხბურთო კლუბ **"მომოსაგან"**. ეს მოხდა 1946 წლის ივნისში, როცა იტალიელებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს ავსტრიის ეროვნული ნაკრები. ბონიპერტმა თამაში ცენტრალური თავდამსხმელის ამპლუაში დაიწყო, შემდეგ კი ინსაიდი გახდა და წარმატებით თამაშობდა თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე. 1953 წელს მან ევროპის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 1953 წელს ინგლისელთა ნაკრების წინააღმდეგ. მატჩში, რომელიც 4:4 დამთავრდა, ბონიპერტიმ ორი გოლი გაიტანა. მან 444 სარეკორდო მატჩი ჩაატარა **"იუვენტუსის"** შემადგენლობაში და ხუთჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. ამავე ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, ომარ სივორის გვერდით მან ჩაატარა 38 მატჩი და გაიტანა 8 გოლი. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ ბონიპერტიმ ბიზნესს მოჰკიდა ხელი, მოგვიანებით კი გახდა **"იუვენტუსის"** პრეზიდენტი და საკმაოდ დიდი წარმატებით უძღვებოდა გუნდს.

### იოჟეფ ბოჟიკი

დაიბადა 1925 წლის 28 ნოემბერს, უნგრეთში.

თამაშობდა კლუბებში **"კიშპეშტი"** და **"ჰონვედი"**.

ბოჟიკი მუდამ ემახსოვრებათ როგორც მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების უნგრეთის **"დიდი გუნდის"** შესანიშნავ მარჯვენა ნახევარმცველად. ლეგენდარული ფერენც პუშკაშის პარტნიორი **"კიშპეშტსა"** და **"ჰონვედში"** იგი გახლდათ არა მხოლოდ ნახევარდაცვის ტვინი, არამედ ულამაზესი გოლებიც გაჰქონდა. 1953 წელს **"უემბლიზე"** გამართულ ისტორიულ მატჩში, სადაც უნგრელებმა ინგლისელები დაამარცხეს ანგარიშით 6:3, ბოჟიკმა 30 მეტრიდან გაიტანა გოლი. მისი დებიუტი უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში 1947 წელს შედგა და პუშკაშის, ციბორისა და კოშიჩისაგან განსხვავებით, 1956 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა საბჭოთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ უნგრელ ამბოხებულებს, ბოჟიკი სამშობლოში დარჩა. იგი ალბათ ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც თამაშობდა აქტიურ ფეხბურთს და, ამავე დროს, იყო უნგრეთის პარლამენტის წევრი და წარმატებით ეწეოდა კანონშემოქმედებით საქმიანობას. 1962 წელს ურუგვაისთან გამართულ ამხანაგურ მატჩში მან გოლი გაიტანა. ეს იყო მისი მეასე და უკანასკნელი მატჩი უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. ბოჟიკი მონაწილეობდა 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც უნგრეთის ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა.

გიორგი ჯალაღანია



## იუმორი

* * *

ჭიჭიკია ბლის ხეზე მიძვრება.

– მანდ რა გინდა? – ეკითხება ცოლი.

– ვაშლი უნდა შევჭამო.

– ეგ ბლის ხეა, ვაშლი როგორ უნდა შეჭამო, შე კრეტინო?!

– ჯიბეში მიდევს, შე თვითონ კრეტინო!

* * *

ჭიჭიკია ეუბნება მეგობარს:

– აფრიკა ქუთაისიდან შორს არ ყოფილა.

– რა იცი?

– სახლის გვერდზე მაღაზიაში ერთი ზანგი მუშაობს და ყოველ დილით ველოსიპედით მოდის ხოლმე.

* * *

– კინოთეატრში უბილეთოდ შესვლას როგორ ახერხებ?

– კონტროლიორი სვანია და "ზადნით" რომ შევდივარ ხოლმე, იმას ჰგონია, გამოვდივარ.

* * *

"ყურადღება! ეზოში კეთილი, მაგრამ ძალიან მერყევი ხასიათის ძაღლია."

* * *

მოსამართლე:

– ბრალდებულო, აღიარეთ, გეძინათ ამ ქალბატონთან?

– რას ამბობთ, ბატონო მოსამართლევ, თვალი არ მომიხუჭავს!

* * *

სვანი ეუბნება გამყიდველს:

– მომეცით ეგ ტყუპების ქუდი!

– ეგ ქუდი არ არის, ლიფია...

*ვის რა ადარდებს*

## ბრიტანეთის ჯარში ლესბოსელს ძალადობისთვის კომპენსაცია შეუმცირეს

ლესბოსელ ბრიტანულ სამხედრო მოსამსახურეს კეტრინ ფლეტჩერს თავდაცვის სამინისტროსგან სასამართლოს გზით მოპოვებული კომპენსაცია მესამედით შეუმცირდება – 187 ათასი ფუნტი სტერლინგის ნაცვლად 120-ს მიიღებს.

2007 წელს კაპრალი კეტრინ ფლეტჩერი თავისი უფროსის ძალადობის მსხვერპლი იყო, მამაკაცი მას ჯგუფურ სექსში მონაწილეობას სთავაზობდა და უმტკიცებდა, რომ ჰეტეროსექსუალად აქცევდა. ქალმა უარი განაცხადა და როგორც შემდგომ სასამართლოში დაამტკიცა, ამ უარს მისი კარიერული წინსვლის ყველანაირი შესაძლებლობა ემსხვერპლა.

2008 წლის ნოემბერში ფლეტჩერმა სასამართლო მოიგო და 187 ათასი ფუნტი, მათ შორის, 30 ათასი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, თითქმის უკვე ჯიბეში ედო. ამ გადაწყვეტილებამ ვეტერანთა ორგანიზაციების უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია, მათ სააპელაციო სარჩელში მინიშნებული იყო, რომ ქალისთვის მიკუთვნებული თანხა აღემატება თანხებს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებისას მძიმედ ტრავმირებულთათვის დაწესდა. მაგალითად, ბენ მაკბინი, რომელმაც ავღანეთში ხელი და ფეხი დაკარგა, 161 ათას ფუნტს დააჯერეს.

სააპელაციო ტრიბუნალმა ლესბოსელის მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის დაწესებული თანხა გადამეტებულად მიიჩნია, ასევე, საჯარიმო დაკავებების თანხებიც, რაც 50 ათას ფუნტს შეადგენს. შესაძლოა, გადაიხედოს ის თანხაც, რომელიც კეტრინ ფლეტჩერს მიუღებელი ხელფასის გამო უნდა აუნაზღაურდეს.

# ПРЕЗЕНТАЦИЯ ФИЛЬМОВ И КНИГИ В БРЮССЕЛЕ

В конце мая в конференц-зале гостиницы **«Кроун-плаза»** в Брюсселле состаялась презентация и просмотр фильмов жур. Союза **«Объектив»** и книги **«Зона безправия»,** а также присутствующим были розданы диски с фильмами, книги и спецвыпуск газеты **«Грузия и Мир»** от 23 декабря 2009 г. В подготовке и в ходе поезентации активно участвовал Бельгийский союз грузин во главе с Мерабом Блададзе.

В здании Еврокомиссии (Баррозу) во время европейского конгресса по выходу из экономического кризиса также были распространены англоязычные версии книги и спецвыпуска газеты.

Журналист ТВ **«Россия»** Андрей Баранов записал члена общественного совета **«Исторического Наследия»** и замглавреда **«Грузия и Мир»** Бондо Мдзинарашвили и председателя правления жур. Союза **«Объектив»** Ирму Инашвили. И. Инашвили также записал по телефону журналист **«Итар-Тасс»** Денис Дубров.

Представитель Лондонской газеты **«Месинджер»** в Брюсселе журналист Александр Уард подготовил репортаж по поводу презентации фильмов и книги, опубликован или нет, пока неизвестно.

Журналист и фоторепортер Франсуа Виеира, снобжающий Евросоюз и Еврокомиссию новостями и фотоматериалом, подготовил Фото и текстовый репортаж для всех официальных организации и представительств, расположенных в Брюсселе.

Журналист французского радио, один из организаторов презентации, руководитель союза **«Журналисты для журналистов»** (Бельгия) Георгий Попхадзе осветил мероприятие по французскому радио.

Была встреча с судьей международного уголовного суда, европейским координатором этого суда Луизой Масция, которая выразила большую заинтересованность и обещала всяческое содействие и координацию с европейскими профильными структурами. По ее инициативе на презентации в гостинице **«Роиал-плаза»** присутствовал офицер европейских программ международного уголовного суда Вирджиния Амато.

Многие представители грузинских диаспор в Бельгии (их в Бельгии несколько) получили именные месиджи с предупреждением, что-бы те не приходили на презентацию в «Роиал-плаза», поскольку данная акция якобы была направлена против Грузинского государства и финансировалась росиским посольством. Позже грузинский консул в Брюсселе Маиа Бартаиа в разговоре с И. Инашвили, Б. Мдзинарашвили и других признала, что месиджи были разосланы ее службой по требованию грузинского посольства. Ей приказали приложить все усилия, что-бы презентация не состаялась. Разговор с ней записан на видео.

Состоялась также ознакомительная встреча с еврокомиссаром по правам человека Бернардом Филипом, который выразил заинтересованность и обещал присутствовать на презентации, однако на другой день он не появился. Скорее всего на него повлияли лоббистские группы, которых оплачивает Саакашвили.

Газета **«Грузия и Мир»**

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
893-51-01-71
899-34-37-27